ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

23 იანვრიდან!
„ახალი თაობა“
+
მარია კიური
8 ლარი




26 — 27 იანვარი, 2013

№21 (6022)

ფასი: 30 თეთრი



# რატომ დააკავეს ცეზარ ჩოჩელი

გვ.3



## პარლამენტმა ვადაგასული პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადება ვერ გაბედა

გვ.3



## სანდრო ბრეგაძე: „ქართულ ოცნებაში შემავალმა პარტიებმა, შესაძლოა, დამოუკიდებლად თამაში მოინდომონ“

გვ.5

## მერაბიშვილი ჩახალიანმა შეაშინა

გვ.4



## თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილმა რუსული კურსი აირჩია“

გვ.6





## თვითმარქვია პრეზიდენტი არ გვინდა!

გვ.2



## რაში დახარჯა კულტურის სამინისტრომ 12 მილიონი?

გვ.7

ISSN 1987-9385

25 იანვრიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
ნიკო ფიროსმანი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



# ვადაგასული პრეზიდენტი არ გვინდა!

გულიკო ბალაძე

მსოფლიოში, ალბათ, ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც პრეზიდენტს ვადა ჰქონდეს გასული და ისევ პრეზიდენტის პოსტზე რჩებოდეს.

სხვა საკითხია, პრეზიდენტს რომ ამხობენ, სახელმწიფო გადატრიალებას რომ აწყობენ და რევოლუციური სიტუაციაა, მაგრამ ისეთი დიდი დემოკრატიის ქვეყანაში, როგორიც მიშამ „შექმნა“, ამის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო.

მიშას თავი მოაქვს, ქვეყანა ავაშენე და დემოკრატია დავამკვიდრეო, მაგრამ ახლა, ხუთწლიანი ვადა რომ გაუვიდა, ისევ პრეზიდენტის რეზიდენციაში ზის და იძახის, პრეზიდენტი ვარო, ეს როგორი დემოკრატია და კანონის უზენაესობაა?

უკვე ერთი კვირაა, რაც პრეზიდენტის რეზიდენციასთან სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით აქცია და ხელმოწერების შეგროვება მიმდინარეობს. მილიონ ხელმოწერაზე მეტი შეგროვდა, სააკაშვილი კი ევროპაში დარბის და თავს იქებს, მე დიდი დემოკრატი ვიყავი, ახალი ხელისუფლება კი ჩვენ უსაფუძვლოდ გვავიწროვებსო.

სააკაშვილს ხალხის აზრი და განწყობა არ აინტერესებს, თორემ ერთხელ მაინც გამოვიდოდა და შეეკითხებოდა, რა გინდათ, რას გიშავებთ, აქ ჩემი გადადგომის მოთხოვნით კარვები გაგიშლიათო, მაგრამ ამას გაბედულება უნდა.

გუშინ პრეზიდენტის რეზიდენციასთან ვიმყოფებოდი და იქ არსებულ სიტუაციას ვაკვირდებოდი. სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერები კვლავ გრძელდება. ხალხი გუნდ-გუნდად მიდის და ხელს აწერს. ჯერჯერობით მშვიდი სიტუაციაა, მაგრამ საკმარისია, სააკაშვილმა მორიგი სისულელე ჩაიდინოს, რომ იქ ხალხის მასა შეიკრიბოს და სიტუაციაც დაიძაბოს. აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან არიან წარმომადგენლები. ხალხის განწყობას ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის პოზიცია გამოხატავს.

ჩვენი რესპონდენტი ვასილ აფხაზიშვილი სიღნაღის რაიონის სიყვარულის ქალაქიდანაა.

— ვაგრძელებთ აქციას, მანამ თვითმარქვია სააკაშვილი არ გადადგება. მას ვადა გაუვიდა, მაგრამ ფორთხიალობს. უნდა გადადგეს. ყოველ საღამოს ვიკრიბებით და ჯაჭვს ვაკეთებთ. თან მოსაწვევ ბარათებს ვარიგებთ მეტროებთან. რეგიონებიც არის ჩართული. მე, როგორც პოეტი, არ ვიკვეხნი, პოემაა თუ ლექსია, ხალხი ტირის, მეუბნებიან, მაგარი ხარო. მე ვეუბნები, ნუ მაქებთ, ჩემი დარდი სულაც არ მაქვს. სააკაშვილის ჯავრი მაწუხებს-მეთქი. ზუგდიდში კუბო გამოიტანეს. ახლა კიდევ კუბოზე ხალხი მუშაობს და კუბო უნდა გამოვიტანოთ და გამოვასვენოთ სააკაშვილი.

— რეზიდენციაში კუბოს როგორ შეიტანთ?

— დღეს თუ ხვალ, სააკაშვილი რეზიდენციიდან უნდა გამოვაგდოთ როგორმე. ეგენი დაავადებულები არიან.

— ვინ არიან დაავადებულები, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები?

— დიახ, თითქმის ყველა დაავადებულია.

— რით არიან დაავადებულები?

— ყველანაირად დაავადებულები არიან. კაცს ვადა გაუვიდა, ვეუბნებით, გამოდი რეზიდენციიდანო და არ გამოდის. შევარდნაძემაც კი მიმართა, მიხეილ სააკაშვილო, შენ უკვე საქართველოს პრეზიდენტი აღარ ხარ და რატომ არ გადადგები, ხალხს რატომ აფორიაქებ ხოლმე, რა გინდაო. აქამდე, როცა იყავი პრეზიდენტი, როგორღაც გიტანდნენ, მაგრამ დღეიდან უკვე ხუთი წელი გასული გაქვს და მეექვსე წელს დარჩენას ნუ ცდილობო. სხვათა შორის, ივანიშვილი არ მომწონს (ჩვენს რესპონდენტს „ქართული ოცნების“ მაისური ეცვა და ქუდი ეხურა, – გ.ბ.).

— რატომ არ მოგწონთ ივანიშვილი?

— მე ვარ დათო უსუფაშვილისა და თინა ხიდაშელის პარტიის წევრი. დათო უსუფაშვილი ჩემი რაიონიდანაა და მეამაყება.

— მაინც ვერ გავიგე, რატომ არ მოგწონთ ივანიშვილი? რას აკეთებს ისეთს, რომ არ მოგწონთ?

— რა და, ხელისუფალი რომ ხარ... აი, მაგალითად, თეა წულუკიანი ამბობს, მე პრეზიდენტის დაჭერა შემიძლიაო.

— ანუ სააკაშვილს რატომ არ მოსთხოვეს პასუხი?

— დიახ, რატომ არ მოსთხოვეს სააკაშვილს პასუხი. მას ივანიშვილი აჩერებს, გაანებე თავი, დაიცადეო. სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, ივანიშვილი აცხადებდა, მოვალ თუ არა ხელისუფლებაში, სააკაშვილს იმპიჩმენტს მოვუწყობო, მაგრამ ახლა იმპიჩმენტს არ უწყობენ.

ამ პიროვნებასთან საუბრის შემდეგ ინტერვიუ ჩავწერე აქციის საორგანიზაციო შტაბის ერთ-ერთ წევრთან, საზოგადოება „ერთსულოვნების“ თავმჯდომარე მიხეილ ანდღულაძესთან.

— ბატონო მიხეილ, როგორ მიდის პროცესი?

— აქცია ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით დაიწყო. იქიდან გამომდინარე, რომ წლების მანძილზე საკმაოდ ბევრი სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელი და მინისტრები იყვნენ თურმე დამნაშავეები, იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები იხარჯებოდა არამიზნობრივად (ამის ათასი მაგალითი არსებობს) და, რაც მთავარია, ქვეყნის მთავარსარდალი თავს ოპოზიციად აცხადებს, ყველანაირ ხელისშემშლელ პირობას ქმნის, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობით არჩეული მთავრობის საწინააღმდეგოდ, ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით პირველად ჩატარდა ყრილობა, მოწვეული იქნა საზოგადოების წარჩინებული მოღვაწეები და დაისვა კითხვა: რა ვითარებაა რეალურად საქართველოში და რა შესაძლო პერსპექტივებია. აბსოლუტურად ყველამ დაადასტურა, რომ დღევანდელი ჩვენი ყოფიერების ნებისმიერ სეგმენტში არის ხარვეზები, სტაგნაცია, უკიდურესობისკენ სვლა. ეს ყველაფერი მომდინარეობს ერთი კაცისგან, კაცისგან, რომელსაც მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ყველაზე მეტად მას ესმის ყველა სფერო და ყველა სფერო მის ხასიათსა და გუნება-განწყობილებაზე უნდა ჩამოყალიბდეს. აქედან გამომდინარეობს ის დამოკიდებულებაც, რომ ეს ყველაფერი ქმნის ძალიან დიდ სახიფათო ვითარებას საქართველოში შემდგომი ესკალაციებით, საბოტაჟისა და რევანშიზმის საშიშროების გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მიხეილ სააკაშვილი დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება, რომელიც იმდენად სწრაფად წარიმართა, რომ ჩვენც არ მოველოდით — ორი თვის განმავლობაში დაახლოებით მილიონზე მეტი ხელმოწერა დაფიქსირდა. ეს ყველაფერი განაპირობებდა იმ მოთხოვნებს და იმ შემართებას, რომელიც შემდეგ გვქონდა. ჩამოვაყალიბეთ არასამთავრობო ორგანიზაციათა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანების მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებები. შემოვიარეთ მთელი საქართველო და ყველა რაიონში შეიქმნა ჩვენი რაიონული ოფისები, რომელიც ხელს უწყობდა მოსახლეობას თავიანთი ინიციატივით შეეგროვებინათ ხელმოწერები. ჩვენ მივმართეთ პარლამენტს და ჩავაყენეთ საქმის კურსში, რომ მიმდინარეობს პროცესი და ხალხის ნებაა, სააკაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომა, დააფიქსიროს პარლამენტმა და შეუდგეს იმპიჩმენტს. პარლამენტს მივმართეთ იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილს საპრეზიდენტო უფლებამოსილება ჰქონდა.

— პარლამენტი თქვენს მოთხოვნას რატომ არ აკმაყოფილებს, რატომ არ უწყობს სააკაშვილს იმპიჩმენტს, გიპასუხეს?

— არა. ახლა პარლამენტს არდადეგები აქვს. სესიები იწყება 5 თებერვლიდან. აქედან გამომდინარე, მორატორიუმის რეჟიმში ვართ და რეაგირებას ველოდებით. ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ. პარლამენტის შემდგომ ჩვენ მივმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს.

— სარჩელი შეიტანეთ თუ განმარტება სთხოვეთ?

— სარჩელი არ შეგვიტანია. სარჩელი რომ შეგვეტანა, მის მიღებასა და განხილვას წელიწადნახევარი სჭირდება. წელიწადნახევრის შემდეგ პასუხს რომ მომცემ, რაში გამომადგება? ისედაც წავა სააკაშვილი, რადგან ოქტომბერი მოვა. ამიტომ ჩვენ კანონიერად მივმართეთ დაახლოებით 50-მდე საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელით და 500 ათასამდე ხელმომწერის სახელით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება გაეკეთებინა, თუ როდის გასდის პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა, მაგრამ, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიჩინა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების სურვილი. აქედან გამომდინარე, ჩვენ შემდეგ გამაფრთხილებელი სასიგნალო აქცია მოვაწყეთ 4 იანვარს იმიტომ, რომ 5 იანვარს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ საპრეზიდენტო უფლებამოსილება ფიცის დადებიდან იწყება, ანუ 20 იანვრისთვის საქართველოს პრეზიდენტს ჩვენ წინასწარ წავუყენეთ ულტიმატუმი, რომ მას პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა გასდის 20 იანვარს და იქიდან გამომდინარე, რომ მას იმის შემდეგ უფლება აღარ აქვს, იყოს პრეზიდენტი, წინასწარ მოეხდინა რეაგირება, მიეღო ადამიანური გადაწყვეტილება და თანამდებობიდან გადამდგარიყო. ამით მთელ ქვეყანას მიეცემოდა საშუალება, დანიშნულიყო რიგგარეშე არჩევნები და ყველაფერი კონსტიტუციური ჩიხის გარეშე განხორციელებულიყო. დღეს გვაქვს ისეთ ინსინუაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციის მიხედვით უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, პრეზიდენტი აღარ არის, მაგრამ პრეზიდენტის რანგში იმყოფება და 21 იანვარს ევროპის საპარლამენტო ასამბლეაზე პრეზიდენტის რანგში გამოვიდა და ყველა პრეზიდენტს უწოდებს. ამიტომ ეს არის ისტორიული მოვლენა. ალბათ, ისტორიაში ამის თაობაზე ჩანაწერი გაკეთდება.

— ისტორიული მოვლენაა, რომ სააკაშვილს უფლებამოსილების ვადა გაუთავდა და ისევ პრეზიდენტად რომ ითვლება?

— დიახ, ასეთი ფაქტი, ალბათ, სხვა არც არსებობს ისტორიაში. დღევანდელი პერიოდი შეიძლება ისტორიაში ძალიან რადიკალურად აისახოს იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ მოვლენას სათანადო ორგანოებმა სათანადო რეაგირება არ მისცეს. ეს მართლა სამარცხვინო იქნება და ისტორიის ფურცლებზე სამარცხვინო ფაქტად აისახება, რომ ასეთ მოვლენას არ მიეცა სათანადო შეფასება და მას ინდიფერენტულად შეხვდა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და, შესაბამისად, ის უწყებები, რომლებიც უფლებამოსილები არიან რეაგირება მოახდინონ.

— მოელით, რომ პარლამენტი მომავალში მოახდენს რეაგირებას?

— პესიმისტური განწყობა არ გვაქვს. მოვლენებს ოპტიმისტურად ვუყურებთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ უფრო ოპერატიულ რეჟიმში უნდა მომხდარიყო რეაგირება.

— პარლამენტის მესვეურებთან თავიდანვე ურთიერთაზრთა გაცვლა-გამოცვლა არ გქონდათ?

— 18 დეკემბერს ვიყავით პარლამენტში, შევხვდით პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს და პირველ ვიცესპიკერ ქალბატონ მანანა კობახიძეს და ვესაუბრეთ. ჩვენ ძალიან დიდი წარმომადგენლობითი დელეგაციით შევედით პარლამენტში და გავაცანით ის საშიშროება შეშფოთება, რომელიც ხალხშია, რომ სააკაშვილი მოწადინებულია რევანშიზმისთვის, მოწოდებულია საბოტაჟისკენ, არ არის ადეკვატური თავის ქმედებებში და ნებისმიერ დროს შეიძლება მოუვიდეს თავისი ცუდი აზრების განხორციელების სურვილი. ამაზე ჩვენ მივიღეთ პასუხი, რომ ამის არავითარი საშიშროება არ არსებობს, რომ სააკაშვილს არ შესწევს შესაძლებლობა დაითხოვოს პარლამენტი.

— მაშინ საკონსტიტუციო ცვლილებებს რატომ ახდენენ?

— ეს ხდებოდა მანამდე. ძალიან არადადებითი განწყობით გამოვედით იქიდან. რეზო ჩხეიძეს უნდოდა პარლამენტში სიტყვით გამოსვლა, რომელიც მთავრდებოდა ასე – თუ არ გააკეთებთ ამას თქვენ, ამას გააკეთებს ხალხი.

— თუნდაც რომ არ იყოს სააკაშვილის არაადეკვატური მოქმედების საშიშროება, პრეზიდენტს ხომ გასული აქვს ვადა. რაგინდ კარგი პრეზიდენტიც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა მისტიროდეს ერი, ვთქვათ, მის კარგ პრეზიდენტობას, ვადაგასული პირი მაინც უნდა იყოს?

— ვადაგასული პრეზიდენტი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება რჩებოდეს პოსტზე. მისი მიღებული ყველა აქტი ბათილი იქნება, თუ სადმე იქნება წარმოდგენილი, მისი წარმომადგენლობა იქნება უკანონო. ყველამ უნდა გავიგოთ, რომ ეს პიროვნება პრეზიდენტის რანგში აღარ უნდა იყოს მოხსენიებული. ჩვენ ორიენტირებული ვიქნებით მიმდინარე მოვლენებზე. ახლო მომავალში ველოდებით გარკვეულ ცვლილებებს. შესაძლებელია რეფერენდუმის ჩატარება, მაგრამ ჩვენ რეფერენდუმი არ გვაინტერესებს. ახლა ისტორიული მომენტია, რომ პარლამენტმა შეასრულოს თავისი ისტორიული როლი, რომელიც ხალხმა დააკისრა.



ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ დააკავეს ცეზარ ჩოჩელი

შორენა მარსაგიშვილი

**მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი დააკავეს. ჩოჩელი სამართალდამცავებმა 24 იანვარს დააკავეს. მისი დაკავება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სინდისზეა. გამოძიების ინფორმაციით, ცეზარ ჩოჩელი გუბერნატორად მუშაობის პერიოდში უკანონოდ მონაწილეობდა შპს „ნიუ ენერჯის" საქმიანობაში.**



– გამოძიებით დადგინდა, რომ ცეზარ ჩოჩელი, გუბერნატორად მუშაობის პერიოდში, უკანონოდ მონაწილეობდა შპს „ნიუ ენერჯი“-ს საქმიანობაში. კერძოდ, მფარველობას უწევდა და ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებაში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ, უკანონოდ ღებულობდა დიდი ოდენობით შემოსავლებს და ფულის გათეთრების გზით აძლევდა კანონიერ სახეს. 2010 წლის ზაფხულში ცეზარ ჩოჩელის მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ნიუ ენერჯიმ“ ჩოგბურთის და კალათბურთის მოედნების მოსაწყობად თურქეთიდან ჩამოიტანა 61 845 ლარის ღირებულების საჭირო ინვენტარი და თბილისში, სოფელ დიღომში, ცეზარ ჩოჩელის მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაამონტაჟა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე და 194-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ითვალისწინებს 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

დაკავებული ჩოჩელი თავს დამნაშავედ არ ცნობს. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში მისმა ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა განაცხადა.

ადვოკატის განცხადებით, როგორც ჩოჩელთან შეხვედრისას მისგან შეიტყო, დაკითხვაზე ის მოწმის სტატუსით ვინმე შაქარაშვილთან ურთიერთობის საკითხზე დაიბარეს.

ცეზარ ჩოჩელი პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა. 2004-2008 წლების მოწვევის პარლამენტში ის ახალგორის მაჟორიტარი იყო. სადეპუტატო უფლებამოსილება ბოლომდე ვერ დაასრულა, რადგანაც 2008 წლის თებერვალში მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად გადაიყვანეს.

როგორც ამბობენ, მას არ სურდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლა. ცნობილია, რომ იმ პერიოდში მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მოიმიზეზა და ჩინეთშიც კი წავიდა, მაგრამ ვინ აცალა ჩინურ მედიცინასთან ზიარება. სააკაშვილმა ის საქართველოში ჩამოიყვანა.

სააკაშვილი როგორ უსწორდებოდა ურჩებს, ყველამ ვიცით. ჩოჩელს კი მართლაც ბევრი ჰქონდა დასაკარგი. ამიტომ დათანხმდა გუბერნატორობას.

ამ წლების განმავლობაში მასზე უამრავი ჭორი ვრცელდებოდა. ამბობენ, რომ მან იცოდა აგვისტოს ომის დაწყების შესახებ და ახალგორელები არ გააფრთხილა. ამბობენ, რომ ომამდე ცოტა ხნით ადრე, ახალგორიდან თავისი საქონელი გამორეკა და გადაარჩინა.

მის სახელს უკავშირდება ბევრი სკანდალი და საწარმო. ამბობენ, რომ ის და ვანო მერაბიშვილი ერთად ბიზნესმენობდნენ.

ყველაზე მეტად საზოგადოება ჩოჩელის „ბოინებმა“ გააღიზიანა. მაშინდელმა ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც საქონელი მხოლოდ ჩოჩელის „ბოინში“ უნდა დაეკლათ. ამან ხორცის ფასი გაზარდა.

პოლიტიკური ბრჭყალები ჩოჩელმა არჩევნების წინ გამოაჩინა. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მისმა ხალხმა ააწიოკა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ადგილობრივი ჟურნალისტებიც მაგარი ზეწოლის ქვეშ ჰყავდა.

ცეზარის რეპრესიები მას შემდეგ გამკაცრდა, რაც მეოცნებეებმა მცხეთაში დიდი აქცია გამართეს. ამაზე სააკაშვილი გადარეულა და თავის დაცვის წევრებს აცემინა. ეს ინფორმაცია ჩოჩელმა კატეგორიულად უარყო.

ცეზარ ჩოჩელი მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად 2008 წლის თებერვლიდან მუშაობდა. თანამდებობა მან საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 22 ნოემბერს დატოვა. მანამდე, 3 ოქტომბერს შვებულებაში გავიდა. ცეზარ ჩოჩელმა თანამდებობიდან გადადგომისას განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მიიღო.

ახლა მის ქონებრივ დეკლარაციას შემოგთავაზებთ, რომელიც გასულ წელს გამოაქვეყნა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა.

ცეზარ ჩოჩელმა ახალი ქონებრივი დეკლარაცია 2012 წლის 27 მაისს შეავსო. დეკლარაციის მიხედვით, გასულ წელს გუბერნატორმა შვილების სწავლა 71 367 ლარით დააფინანსა. ცეზარ ჩოჩელს 17 წლის შალვა ჩოჩელის სწავლის გადასახადის სახით 21 818 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 55 199 ლარი) აქვს გადახდილი, 14 წლის რამზეს ჩოჩელს და 11 წლის საბა ჩოჩელს კი 8 000 ევრო გადაუხადა.

ცეზარ ჩოჩელის სახელზეა რეგისტრირებული თბილისში, საბურთალოზე, ტაშკენტის ქუჩაზე მდებარე 180 კვადრატული მეტრი ფართის ბინა, სოფელ დიღომში 1.600 კვადრატული მეტრი ფართის საცხოვრებელი სახლი და ახალგორში მდებარე 100 კვადრატული მეტრი ფართის სახლი. მის მეუღლეს, სვეტლანა ჩოჩელს ეკუთვნის სოფელ დიღომში მდებარე 7 841 კვადრატული მეტრი ნაკვეთი და ახალგორში 1 400 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი.

ცეზარ ჩოჩელს 2011 წელს გამოშვებული „ლეხსუს ლხ 570“-ის გარდა, საკუთრებაში აქვს მაღალი გამავლობის ავტომანქანაც. 2011 წელს მას კიდევ ორი ძვირადღირებული ავტომანქანა ჰქონდა: 2008 წლის გამოშვება „ლეხსუს 4601“, რომელიც 69 ათას აშშ დოლარად გაყიდა და ასევე, 2008 წლის „ლეხსუს ლხ 570“, რომელიც 70 ათას აშშ დოლარად გაასხვისა.

ექსგუბერნატორის მეუღლე სვეტლანა ჩოჩელი 31 ათას 270 დოლარის ღირებულების აქციებს ფლობს სააქციო საზოგადოება „კედარში“. სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობს ცეზარ ჩოჩელიც. ის 2008 წლიდან თბილისში, დიდ ლილოში მდებარე შპს „ინტერპლასტის“ პარტნიორია, თუმცა დეკლარაციის თანახმად, გასულ წელს საწარმოს საქმიანობიდან შემოსავალი არ მიუღია.

ახალი დეკლარაციის თანახმად, ცეზარ ჩოჩელს 2009 წელს, კორპორაცია „რემაქს ენდ კო.“-სთან შპს „ინტერპლასტიდან“ წილის მიყიდვის შესახებ ნასყიდობის 4-წლიანი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ხელშეკრულების მიხედვით, „რემაქს ენდ კო.“-ს ჩოჩელისთვის 1 წლის განმავლობაში 7 მილიონ 13 ათას 907 ლარი უნდა გადაეხადა, თუმცა დეკლარაციაში მითითებულია, რომ ხელშეკრულებიდან მიღებული მატერიალური შედეგი 0 ლარია.

2008 წელს ცეზარ ჩოჩელმა მის ძმას, იაგო ჩოჩელს მინდობილობით თავისი უძრავ-მოძრავი ქონების მართვის უფლება მიანიჭა. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, განსაკარგავად გადასცა 5.9 მილიონი დოლარის ქონებაც.

იაგო ჩოჩელმა ცეზარ ჩოჩელს შპს „ინტერპლასტში“ დათმობილი წილის 9.9992%-ის სანაცვლოდ შპს „მიქსორსა“ და შპს „ლარმაქსში“ კუთვნილი წილი დაუთმო. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის თანამდებობიდან ჩოჩელის შემოსავალმა გასულ წელს 35 ათას 400 ლარი შეადგინა.

ცეზარ ჩოჩელს „თი-ბი-სი“ ბანკთან გაფორმებული აქვს 400 ათასი აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულება. გასულ წელს სესხის საპროცენტო გადასახადმა 202 ათას 313 აშშ დოლარი შეადგინა.

ჩოჩელს „თი-ბი-სი“ ბანკში აქვს 10 000-დოლარიანი საკრედიტო ბარათი, თუმცა დეკლარაციიდან ირკვევა, რომ გასულ წელს ბარათით არ უსარგებლია. იმავე ბანკში საკრედიტო ბარათზე 5 966 ლარი, სადებეტო ბარათზე კი 3 418 ლარი ერიცხება. სვეტლანა ჩოჩელს „პროკრედიტ ბანკში“ 7 ათას 989 აშშ დოლარად და 5 ათას 243 ევროდ ღირებული ანაბარი აქვს გახსნილი.

დეკლარაციის შევსების დროს, ცეზარ ჩოჩელს ნაღდი ფულის სახით 251 ათას 290 ლარი ჰქონდა, სვეტლანა ჩოჩელს კი 30 ათასი ლარი.

# პარლამენტმა ვადაგასული პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადება ვერ გაბედა

შორენა მარსაგიშვილი

20 იანვარს კოალიციამ „ერთსულოვნებამ“ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით აქციები დაიწყო. აქციები პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან იმართება. იქვე გროვდება ხელმოწერები. „ერთსულოვნებამ“ უკვე მილიონზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა. ისინი მოითხოვენ, რომ მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობა დატოვოს. კონსტიტუციის თანახმად, სააკაშვილს უფლებამოსილება მიმდინარე წლის 20 იანვარს ამოეწურა.

კოალიციის წარმომადგენლებმა საგანგებოდ მიმართეს პარლამენტს. მოსთხოვეს პრეზიდენტს, უფლებამოსილება შეუწყვიტეთო. მათივე თქმით, პრეზიდენტის მოვალეობა პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა შეასრულოს. პარლამენტი, როგორც ჩანს, ამის გაკეთებას არ აპირებს, რაც კოალიციის წარმომადგენლებს ეჭვებს უჩენს. მათ კითხვები და ეჭვები საკონსტიტუციო ცვლილებებთანაც აქვს. ამ თემაზე დღეს აქტიურად მიდის საუბარი.



– ქვეყნის პოლიტიკური მართვის სისტემა რომ შესაცვლელია, ამაზე დღეს აღარავინ დავობს. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ორი ათეული წლის მანძილზე ვერ იქნა და ვერ ჩამოყალიბდა მოდელი, რომელიც თანაბრად მისაღები იქნებოდა ქართველი საზოგადოებისათვის, პოლიტიკური პალიტრისათვის და რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, დასავლელი „დიდი ძმებისათვის“, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე სულს სხვა, ძალიან მტკივნეული თემაა და ცალკე განხილვას იმსახურებს. ცხარე კამათი მიმდინარეობს უკვე აპრობირებულ და კარგად ნაცად მოდელებს შორის არჩევანის გაკეთებაზე. სამწუხაროდ, ცოტა ვინმე თუ ამბობს, რომ მთავარია არა თავად მოდელი, არამედ კონკრეტულად აღებულ ქვეყანაში, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში, ამა თუ იმ მოდელის მუშაობის ხარისხი. რომელიმე მოდელის მომხრეები ნაკლებად იწუხებენ თავს მათთვის მისაღები სისტემის სამართლებრივი, პოლიტიკური, ზნეობრივი, ეთნიკური, სხვა ასპექტების და თავისებურებების გაანალიზებით, – აცხადებს პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი.

ის შეწუხებულია იმის გამო, რომ კითხვებიც კი არ ისმება – რისი ბრალია ოცწლიანი პოლიტიკური კრიზისი, სისტემის თუ სისტემის შემადგენელი ნაწილების? რატომ არ იმუშავა ეფექტურად საპრეზიდენტო მოდელმა? ვინ დაუშალა პარლამენტს საპრეზიდენტო საქმიანობაზე ეფექტური კონტროლის განხორციელება?

– ამ კითხვებზე პასუხისგაცემის გარეშე, მეტიც, თავად კითხვების დასმის გარეშე, ყველა მხარე მართალი ჩანს ზედაპირულად. აი, სიღრმისეულად, მეცნიერული შეფასებების დონეზე კი არავინ ეშვება. ამის გარეშე საუკეთესო მოდელიც კი ვერ აღმოფხვრის არსებულ უსერიოზულეს პრობლემებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ სხვადასხვა სისტემების მომხრე ჯგუფებს არ ჰყოფნით ინტელექტუალური პოტენციალი სიღრმისეული ანალიზის გაკეთებისა და მათი ხალხამდე მიტანისათვის. არსებული მდგომარეობა უფრო იმაზე მიუთითებს, რომ აქცენტი კეთდება ცალკეული პოლიტიკური ძალებისათვის ხელსაყრელი მოდელის გატანაზე და არა ქვეყნისათვის უკეთესის გამოძებნაზე, – აღნიშნავს „თეთრების“ ლიდერი.

მისი თქმით, საქართველოს სთავაზობენ მზა მოდელებს კონკრეტული სოციალური და ისტორიული კონტექსტის გაუთვალისწინებლად.

– ახალი მოდელის შეთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს იგი, ვერ იქნება სერიოზული, ვიდრე არ გაკეთდება წინა მმართველობის მოდელის სრული ანალიზი. სწორედ არსებული რეალობის სრულყოფილი შესწავლა უნდა გახდეს საფუძველი სამომავლო სახელმწიფოებრივი შენობის მშენებლობისა, მხოლოდ ხალხმა უნდა გააკეთოს მოდელის არჩევანი და არა პოლიტიკოსებმა, რომელთა ერთი ნაწილი ემხრობა იმ მოდელს, რომელიც მათ აწყობთ პირადად, და არა ქვეყანას, არა ხალხს, არა სახელმწიფოს. ამიტომაც არ გვიკვირს, რომ ბატონი ალასანია, როგორც გამორჩეული ლიდერი, გამოდის საპრეზიდენტო მართვის მოდელის შენარჩუნების მოსაზრებით, ხოლო ულიდერო რესპუბლიკური პარტიის გუნდი საპარლამენტო მმართველობის სისტემას იცავს კბილით, – მიიჩნევს შაშიაშვილი.

მისი განცხადებით, შექმნილ სიტუაციაში ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ აიღოს კონსტიტუციური მოწყობის ის ფორმატი, რომლისთვისაც მზად არის საზოგადოება და არა ცალკეული პოლიტიკოსი, ან პოლიტიკური ძალა.

– საზოგადოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება აისახება ქვეყნის სტაბილურ განვითარებაზე. სწორედ ავად სახსენებელი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კონსტიტუციის დარბევამ განაპირობა ის კრიზისი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში, რომელიც დაუვიწყარ სახსოვრად დაგვიტოვა ნეონაცისტურმა რეჟიმმა. არა მოდელის შეცვლამ, არამედ არსებული მოდელის მორგებამ, მისი არსის დამახინჯებამ განაპირობა მაშინ ახალგაზრდა რეფორმატორების დეგრადირება ტირანული სახელმწიფოს დაუნდობელ მმართველებად, – ამბობს შაშიაშვილი.

და მაინც, რამდენად არის აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებები, კითხულობს შაშიაშვილი და პასუხიც მზად აქვს:

– დღევანდელი საკონსტიტუციო რისკებიდან გამომდინარე – სასწრაფოა.

– პრეზიდენტის ძალაუფლებიდან გამომდინარე – სასწრაფოა.

– პარლამენტის განვლილი მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე – სასწრაფოა.

„თეთრების“ ლიდერის თქმით, ასეთ პირობებში, საკითხთან დაკავშირებული ყველა შემოთავაზება დღემდე არის კოსმეტიკური ხასიათის, ზედაპირული, მეტიც, ემსახურება ერთი რომელიმე პოლიტიკოსის ან პარტიის ინტერესებს.

– მათში აბსოლუტურად არ ჩანს საქართველოს ხალხის ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, სახელმწიფოებრივი კულტურის თავისებურებათა გათვალისწინების მცდელობაც კი. არ ჩანს ყველაზე მთავარი – იქნება თუ არა მომავალი მოდელი ეროვნული თანხმობის გარანტი. დღემდე არ არსებობს ხელისუფლების შტოების ურთიერთგაწონასწორების მექანიზმი. იქმნება რეალური ეჭვი, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ სიჯიუტესთან და არა იურიდიულ ნორმებზე დაყრდნობილ პოლიტიკურ ნებასთან. მომავალი ბუნდოვანი მოდელებისადმი უნდობლობას აძლიერებს ის მომენტიც, რომ პარლამენტი დღემდე არ ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელსაც მას კონსტიტუცია ავალდებულებს: 21 იანვარს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს უნდა მიეღო დადგენილება ვადაგასული პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. სწორედ საერთო სახალხო მხარდაჭერით არჩეული პარლამენტი დღეს უფლებას აძლევს პრეზიდენტადყოფილს, ისარგებლოს მითვისებული ძალაუფლებით.

სამწუხაროა, რომ ერთ-ერთი საპარლამენტო პარტია, რომლის ლიდერი ვერ ბედავს გამოიყენოს მასზე დაკისრებული ძალაუფლება, ვერ ბედავს გადადგას ნაბიჯი, რომელსაც ავალდებულებს არსებული კონსტიტუცია, ვერ ბედავს დროებით იკისროს ქვეყნის პირველი პირის მძიმე უღელი, ბედავს და ითხოვს ქვეყნის საპარლამენტო მმართველობაზე გადაყვანას, – მიიჩნევს „თეთრების“ ლიდერი.

# მოგვარდება თუ არა ყვითელი „მარშრუტკების“ პრობლემა

ნათია ხურცილავა

**ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლების მორიგი გაფიცვა, სავარაუდოდ, ორშაბათამდე გაგრძელდება. მძღოლებმა საკრებულოს შენობასთან აქცია გამართეს.**

უფლებადამცველ ლაშა ჩხარტიშვილის განაცხადებით, საკრებულოსთან აქციის გამართვა იმიტომ გადაწყდა, რომ პარალელურად საკრებულოს სხდომა მიმდინარეობს.

ამასთან, მძღოლები მოითხოვენ, რომ მათ შეხვდეს თბილისის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი აკაკი ჯოხაძე და შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობა.

როგორც მძღოლებს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისის“ წევრმა მამუკა ბალიაშვილმა განუცხადა, ის შეეცდება, შეხვედრა გაიმართოს მერიაში.

ბალიაშვილის განცხადებით, თუ მერიაში ვერ მოხერხდა ეს შეხვედრა, მაშინ ფრაქცია კანონით განსაზღვრული წესით საკრებულოში დაიბარებს აკაკი ჯოხაძეს და შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობას და სწორედ საკრებულოში გაიმართება შეხვედრა.

მძღოლები ასევე მუშაობენ საინიციატივო ჯგუფის შექმნაზე, რომელიც უკვე შემდგომში დაგეგმავს სამომავლო ქმედებებს. ისინი ასევე აპირებენ პროფკავშირის შექმნასაც, რომელშიც თითოეული ხაზის რამდენიმე წარმომადგენელი შევა.

მამუკა გოგიაშვილი, მძღოლი:

– გავიფიცეთ იმიტომ, რომ ჩვენი უფლებები ირღვევა. ირღვევა ისე, როგორც ირღვეოდა აქამდე. როგორ შეიძლება, რომ ჩვენს სატკივარს არავინ იზიარებს. ასე წარმოუდგენელია. ძალიან კარგად მესმის, რომ დედაქალაქი პარალიზებულია, რომ მოქალაქეებს გადაადგილება უჭირთ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს პრობლემებზე არაფერი ვთქვათ და ისე ვიყოთ, რომ თითქოს არაფერი ხდება. ამას უნდა ყურადღების მიქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნება სამარშრუტო ტაქსებით მომსახურება.

ია ვარაზაშვილი, მგზავრი:

–სამსახურში მივდივარ და ვერც მივდივარ. ვდგავარ ქუჩაში არ ვიცი, რა ვქნა. ტაქსის ფული არ მაქვს, რომ ტაქსით წავიდე სამსახურში. არადა, პრობლემაც მექმნება, რომ დავიგვიანო. ველოდები ავტობუსს 49 ნომერს, რომელიც აგვიანებს. ტაბლოზე 45 წუთი ეწერა, ახლა ისევ 45 წუთი აგვიანდება. ეს არის ჩვენი გამართული სატრასპორტო სისტემა? როგორ შეიძლება, ამხელა, მილიონიან ქალაქში ასე უყურადღებოდ იყოს დატოვებული მოქალაქეების ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა. როგორც გავიგე, კიდევ რამდენიმე დღე იქნებიან გაფიცულები. რას აკეთებს ქალაქის მერია? რატომ არ აქცევს ამას ყურადღებას? ახლა ამ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს დააბრალებენ. ხალხმა კარგად იცის, რომ ქალაქის ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა მერიის პრეროგატივაა და არა მთავრობის. უკვე მერამდენედ მოხდა მსგავსი პრობლემა. მახსოვს, ყინვაში, თოვლში როგორ ვიდექით და ველოდებოდით ტრანსპორტს, მაშინ ყველაფერი გაფიცული იყო, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ ამაზე ვილაცამ ხომ უნდა მოსთხოვოს პასუხი მერს გიგი უგულავას? ამით ხომ დაირღვა ჩვენი უფლებები, ალბათ, ზარალს ბიუჯეტისც ნახავს. ვის უნდა მოეთხოვოს ამ ყველაფერზე პასუხი? ასე გაგრძელება შეუძლებელია, შეუძლებელია, ყველას ყველაფერი ასე მარტივად შერჩეს.

მარიამ ყრუაშვილი, მგზავრი:

– ცხადია, დიდი პრობლემა შემექმნა. იქ, სადაც ერთი საათის წინ უნდა ვყოფილიყავი, ჯერ ისევ ვერ მივსულვარ. ვერ მივედი სწორედ იმიტომ, რომ მძღოლები გაიფიცნენ. მძღოლებს სულ არ ვადანაშაულებ, მათაც აქვთ ოჯახები და შვილები ჰყავთ, მათაც აქვთ ლუკმაპური სახლში მისატანი. მთავარი დამნაშავე ამ ყველაფერში ჩვენი მერია და გიგი უგულავაა, რომელმაც თავის დროზე გარიგებით და სხვადასხვა მაქინაციით გამოცხადებული ტენდერი თავიანთ კაცს მოაგებინა. ახლა პასუხი აგოს, რომ ხალხს სამსახურში აგვიანდება. მე ბაზარში მივდივარ, რომ რაღაც სადილი იქნებ გავამზადო, მაგრამ ვერ წავსულვარ. რაც ფული ჯიბეში მიდევს, ის ტაქსის რომ გადავუხადო, ოჯახი დამრჩა მშიერი და ეგ არის. ავტობუსს კი ველოდები, მაგრამ სავსეა, ორი უკვე გავუშვი, გადატენილი იყო, ფეხს ველარ ადგამდი. ასე როდემდე შეიძლება, ვიდგე ქუჩაში და ველოდო? ასეთი საგანგებო მდგომარეობის დროს ხომ შეიძლება, მერია რაღაც ალტერნატიულ საშუალებას გვთავაზობდეს ან მეტ ავტობუსს ამატებდეს, რომ ხალხს არ შეექმნას პრობლემა, ან, როგორც არის ხოლმე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენთან ხომ არავინ ფიქრობს ხალხზე. ყველა თავის თავზე ფიქრობს და საკუთარ ჯიბეზე. თვითონ არც ერთი წუთით ხომ არ შეექმნებათ პრობლემა. თავიანთ ძვირადღირებულ მანქანებზე დასხდებიან და სადაც უნდათ, იქ წავლენ. ჩვენ, უბრალო ხალხმა, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა ვიკითხოთ. ჩვენ რა გავაკეთოთ, ჩვენზე ვინ იზრუნებს, ეს არის პრობლემა. აქამდე რომ გავჩერდით და ხმა ვერ ამოვიღეთ, ყველაფერი რომ ვაპატიეთ, ამის ბრალია. ვითომ არაფერი ხდება, თითქოს ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ჩაივლის, მაგრამ, მე რომ მთელი დაგეგმილი დღე დამერღვა, ეგ არაფერი? ამაზე ხომ ვილაცამ უნდა აგოს პასუხი, ვილაც ხომ უნდა იყოს ოდნავი პასუხისმგებლობის განცდით მაინც. ასეთს კი არავის ვხედავ. ეს არის სამწუხარო, თორემ მე ამ ერთ დღეს გადავიტან რამენაირად, წავალ ბაზარში თუ არ წავალ.




# მერაბიშვილი ჩახალიანმა შეაშინა

**სომეხი ეროვნების პოლიტიკური პატიმარი ჯავახეთიდან ვაჰაგნ ჩახალიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა. ამ ინფორმაციას სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის პრესსამსახური ადასტურებს. ჩახალიანი 2009 წელს დააკავეს.**

ნათია ხურცილავა

**ვინ არის ჩახალიანი?**

ცნობილია, რომ ვაჰაგან ჩახალიანი გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით, განსაკუთრებით ჯავახეთის რეგიონში, სადაც ხშირად, როგორც ამბობენ, სეპარატისტული იდეებით გამოდიოდა, რომელიც არ ემსახურებოდა საქართველოს მოქალაქის მიერ თავისი ქვეყნის ინტერესის დაცვას. ჩახალიანი ორგანიზაცია „ჯავახკი-ს“ თავმჯდომარეა. „ჯავახკი-ს“ განცხადებები კი ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

დღეს ჩახალიანი ამბობს, რომ სწამს ახალი საქართველოს იდეის, რომ ორ ქვეყანას შორის, ბოლოს და ბოლოს, დამყარდება მეგობრობა, რადგან ჩვენ ერთმანეთის დახმარება და კარგი ურთიერთობები გვჭირდება.

პარლამენტარი, უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე აცხადებს, რომ სამცხე-ჯავახეთში მისი გუბერნატორობის პერიოდში არ ყოფილა არც ერთი არეულობა, აქცია, რომელშიც ჩახალიანის გვარი არ ფიგურირებდა და მეტიც, ის იყო მსგავსი ფაქტების ინიციატორი.

გოგა ხაჩიძეს თუ დავუჯერებთ, ჩახალიანი დაუფარავად აცხადებდა, რომ ჯავახეთი საქართველოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს.

თუმცა, როდესაც „ჯავახკი“, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი აზროვნებით გამოირჩეოდა და რომელზეც ჟურნალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ, აქტიურად წერდნენ „ჯავახკის“ „ფენომენზე“, მაშინ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო, ჟურნალისტებს ადანაშაულებდა ამ საკითხის წამოწევასა და პრობლემის გაშლაში.

– ჩახალიანი ყოველთვის დაუფარავად აცხადებდა, რომ ჯავახეთი (ჯავახკი) საქართველოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს. ჩახალიანი არა მხოლოდ აცხადებდა მსგავს იდეებს, არა მხოლოდ ეწეოდა აგრესიულ, ექსტრემისტულ პროპაგანდას, არამედ ყოველთვის მზად იყო, თავის დაჯგუფებასთან ერთად ფიზიკურად ემოქმედა. მიტინგები, აქციები, დარბევები, ვანდალიზმი, ფიზიკური თავდასხმები... გახსოვთ, ალბათ, ქართულ უნივერსიტეტში შევარდნა და დარბევა, ქართულ ეკლესიაში – იარაღის აღმოჩენის მიზნით შევარდნა, აქციები რუსული ბაზის გასვლის წინააღმდეგ საჯარო მოხელეებზე პირდაპირი ფიზიკური თავდასხმები...

სამწუხაროდ, მისი გაკონტროლება და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა იმ ეტაპზე, ჯავახეთში არსებულ რეალობაში, პრაქტიკულად, შეუძლებელი და დიდი რისკების შემცველი იყო...

სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დღემდე არა აქვს რეალური წარმოდგენა, რა ხდებოდა რამდენიმე წლის წინ ჯავახეთში. რა ხდებოდა იქ მაშინ, როცა, პრაქტიკულად, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძლიერი რუსული ბაზა იდგა. როცა იქ უამრავი ხილული თუ ფარული პრობლემა იყო. პრობლემა ახლაც ბევრია და ხელისუფლებამ ყოველდღიურ რეჟიმში უნდა გააგრძელოს მუშაობა ჯავახეთში, ყველა მიმართულებით, – წერს გოგა ხაჩიძე.

ხაჩიძე წერს, რომ ჩახალიანის პატიმრობიდან გათავისუფლება თავად სოზარ სუბარმა გვახარა.

– ცოტა ხნის წინ სოზარ სუბარმა ეთერში „გვახარა“, ჩახალიანის საქმეს ძალიან კარგად ვიცნობ და მალე ციხიდან გამოვაო. ბატონო სოზარ! საქმეს კი არა, თვითონ ჩახალიანს ვიცნობ ძალიან კარგად და ნამდვილად არ გილოცავთ, არც თქვენ და არც თქვენს მთავრობას, ვაჰაგან ჩახალიანი ციხიდან რომ მალე გამოვა, – წერდა გოგა ხაჩიძე სოციალურ ქსელში.



ეპარქიის ინფორმაციით, ჩახალიანს რუსთავის ნომერ პირველ სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან ახლობლები დახვდნენ.

გვიან ღამით იგი საქართველოში სომეხთა ეპარქიის წინამძღვარმა ეპისკოპოსმა ვაზგენ მირზახანიანმა მიიღო.

– ხელისუფლების შეცვლისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ამნისტიის შესახებ კანონის თანახმად, კვლავ თავისუფლებაშია ცნობილი სომეხი მოღვაწე, სამართლიანობისათვის მებრძოლი, რომელიც 2001 წლიდან საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა ჯავახეთში სომხური ეკლესიების შენარჩუნების, სკოლებში მშობლიური ენის სწავლების, ჯავახეთის სომხების უფლებათა დაცვის მიმართულებით. ნათესავებისა და მეგობრების თანხლებით პოლიტიკური პატიმარი თბილისის ავლაბრის წმინდა ეკლესიაში მივიდა, სადაც მას სასულიერო პირებსა და სომხური სათვისტომოს წარმომადგენლებთან ერთად საქართველოში სომეხთა ეპარქიის წინამძღვარი, ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი დახვდა. ვაჰაგნ ჩახალიანს მიესალმნენ 10 დღის წინ გათავისუფლებული სომეხი პოლიტიკური პატიმრები – არმენ გევორგიანი და რუბენ შეკოიანი, – ნათქვამია ეპარქიის განცხადებაში.

ეპისკოპოსმა ვაზგენ მირზახანიანმა სასულიერო პირებთან ერთად ლოცვა აღავლინა და თავისუფლებაში დაბრუნებული ვაჰაგნ ჩახალიანი დალოცა.

სულიერმა ლიდერმა გამოსვლაში დადებითი შეფასება მისცა ახალი მთავრობის სამართლიან და ჰუმანურ ნაბიჯს.

– მან მიულოცა ახალგაზრდას, რომელმაც ზოგიერთ პირთა ახირებითა და ცრუ ბრალდებით ოთხ-ნახევარი წელი დაყო საპატიმროში. მან იბრძოლა სიცოცხლისა და იმ იდეებისათვის, რომლებსაც ავრცელებდა არა მხოლოდ ჯავახეთსა და სამშობლოში, არამედ დიასპორაში. ეპისკოპოსმა მას სულიერი წამებული უწოდა, რომელიც სასჯელს სიმართლისთვის იხდიდა. ვაჰაგნ ჩახალიანი ტელეფონით აკურთხა უწმიდესმა და უნეტარესმა, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა გარეგინ მეორემ. ვაჰაგნ ჩახალიანმა მადლობა გადაუხადა უწმიდესსა და უნეტარესს მზრუნველობისა და ყურადღებისთვის. ვაჰაგნ ჩახალიანმა მადლიერების სიტყვით მიმართა ყოველთა სომეხთა კათოლიკოსს, სომხური ეპარქიის ლიდერს, სასულიერო პირებს, საპატიმროებთან მუშაობისათვის პასუხისმგებელ ჰუსიკ ჰარუთიუნიანს, წინამძღვრის თანაშემწეს მიქაელ ავაქიანსა და ყველა სომეხს, ვინც მას საპატიმროში სტუმრობდა, – აღნიშნულია განცხადებაში.

ეპარქიის ინფორმაციით, ჩახალიანმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ახალ ხელისუფლებას, პარლამენტს, სამშობლოსა და საერთაშორისო თანამეგობრობას, ვინც მისი გათავისუფლებისთვის ძალისხმევა არ დაიშურა.

– მე ვიბრძოდი სამართლიანობისთვის. ჩვენი მოვალეობაა, ჩვენი ეკლესიის, ჩვენი ენისა და ჩვენი ხალხის ერთგული დავრჩეთ და ეს იდეები გადავცეთ ჩვენს თაობებს, – განაცხადა ვაჰაგნ ჩახალიანმა.

ვაჰაგნ ჩახალიანი საქართველოში სომხეთის საელჩოშიც იმყოფებოდა, სადაც მას საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰოვანეს მანუკიანმა უმასპინძლა.

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ვაჰაგნ ჩახალიანის გათავისუფლებას გამოეხმაურა. ყოფილმა პრემიერმა ჩახალიანის გათავისუფლება ასე შეაფასა: – „ჩახალიანის გათავისუფლება არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო“.

„ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში ვანო მერაბიშვილმა სპეციალური ბრიფინგი გამართა და განაცხადა:

– ჩახალიანი არის ბოლო წლების ჯავახური სეპარატიზმის სულის ჩამდგმელი, იყო ლიდერი 2003-2008 წლებში იმ მოძრაობისა, რომელიც მიმართული იყო საქართველოს გაძლიერებისა და ასევე საქართველოდან რუსული ძალების გაყვანის წინააღმდეგ, – აღნიშნავს მერაბიშვილი.

როგორც მერაბიშვილმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პირადად იყო ინფორმირებული, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან და უშიშროების საბჭოსგან, თუ ვინ არის ჩახალიანი და რა ზიანის მოტანა შეუძლია მას საქართველოსთვის.

– აღნიშნული გადაწყვეტილება არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება, რაც ახალმა მთავრობამ მიიღო. ყველა სხვა საკითხს – ეკონომიკურს, პოლიტიკურს თუ საკადროს ეშველება, მაგრამ არის ნაბიჯები, რომლის გადადგმას გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ, – აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

ვანო მერაბიშვილის განცხადებას ვიცე-სპიკერი, პარლამენტის უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე გამოეხმაურა.

– ეს ადამიანი პოლიტპატიმართა ნუსხაში არ იყო და გაუგებარია, რას აპროტესტებენ. ჩვენ მივიღეთ ამნისტიის კანონი, რომელიც შეეხო კონკრეტულ დანაშაულებს, მათ შორის, მძიმესაც და, თუ ახლა კანონის მოქმედება კონკრეტულ დამნაშავესაც შეეხო, ამის გაპროტესტება არც სამართლებრივად და რაც პოლიტიკურად სწორი არ არის. თუ ისინი პოლიტპატიმართა სიაზე უთითებენ, ეს ადამიანი ამ სიაში არ ყოფილა, – განაცხადა კობახიძემ.

# სანდრო ბრეგაძე: „ქართულ ოცნებაში შემავალმა პარტიებმა, შესაძლოა, დამოუკიდებლად თამაში მოინდომონ“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, მოდით, ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები შევაფასოთ. ჯერ კიდევ აქტუალური თემაა ივანიშვილის მიერ ირაკლი ალასანიას გადაყენება ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან. თქვენ როგორ ფიქრობთ რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?***

— მე ვფიქრობ, რომ დიდი აჟიოტაჟის ასატეხი თემა არ ყოფილა ალასანიას ვიცეპრემიერობიდან გადაყენების საკითხი, იმიტომ რომ, ჩემი აზრით, ვიცეპრემიერობა არ არის ეს ისეთი თანამდებობა, რომელიც რაღაცა სერიოზულ ამინდს ქმნიდეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და იმავე სამთავრობო წრეებში. თავდაცვის მინისტრობა ბევრად უფრო დიდი პოსტია, ვიდრე ვიცეპრემიერობა. რაც შეეხება თვითონ ამ პროცესს, მე ვფიქრობ, რომ ასეთი პროცესები გაგრძელდება, ეს არ იქნება მარტო ირაკლი ალასანიასთან მიმართებით, არამედ იქნება გარკვეული როტაციები, გარკვეული გადაადგილებები. ადრე სააკაშვილი კარუსელებს ეძახდა ამას, მაგრამ მე ვფიქრობ გადაადგილებები იქნება მთავრობაში და ამაზე სერიოზული, მტკივნეული რეაგირება არ არის საჭირო, მით უმეტეს, რომ თავად ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, არაფერი ამაში საგანგაშო არ არის და მისი და ირაკლი ალასანიას ურთიერთობა კვლავაც უცვლელია. თუმცაღა ერთი რამ თვალნათელია. ჩემდა სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ქართულ პოლიტიკაში მთელი ამდენი წლის განმავლობაში ეკისრებოდათ და ეკისრებათ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფუნქცია. ეს არის ენის მიტან-მოტანის ფუნქცია. მე მათ პროვოკატორებს ვეძახი, რომლებიც ყველა მთავრობაში იყვნენ და რომელთა მიზანია, ერთი ადამიანი ჩაძირონ, მეორე წამოსწიონ და ასე შემდეგ. თუმცა, მე არ ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში ეს გამოვა, იმიტომ რომ ბატონი ივანიშვილი საკმაოდ რაციონალურად აზროვნებს და მან ძალიან კარგად იცის იმავე თავის უმაღლეს თანამდებობის პირებში ვინ, სად, როგორ და რანაირად უნდა დანიშნოს. ეს მცირე გაუგებრობა, რომელიც მოხდა, ალბათ, გაივლის და ყველაფერი ისევ ნორმალურ ჩარჩოებში ჩადგება. თუმცაღა, მე მინდა, ერთი რამე აღვნიშნო და ეს ერთი რამ ჩემ გასაგონად ვთქვა პირველ რიგში და ვთქვა ყველა ჩემი მეგობრის გასაგონად.

***— რის თქმას აპირებთ?***

— როდესაც ჩვენ გაერთიანებულ ოპოზიციაში ვიყავით, ძალისხმევა, ენერგია, თავგანწირვა არ დაგვიშურებია იმისათვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი მოგვეშორებინა, დაწყებული 7 ნოემბრის აქციებიდან, შემდგომში საკნების აქციები, 26 მაისის აქციები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. გვიჭერდნენ, გვაპატიმრებდნენ, გვარბევდნენ, რეპრესირებულები ვიყავით, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ, ანუ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა, მიუხედავად ჩვენი დიდი ძალისხმევისა. ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ სააკაშვილის რეჟიმი შეცვალა ბიძინა ივანიშვილმა. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, მე დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი დღესაც უმრავლესობით იქნებოდა პარლამენტში, დღესაც იქნებოდნენ გუნავები, ახალაიები, მეგის ქარდავები და მისნაირი ფიგურები, სადისტები და მკვლელები. იქნებოდა ციხეებში წამება, გაუპატიურება, ადამიანების უმიზეზოდ დაჭერა და ათასგვარი სისაძაგლე, რასაც წინა ხელისუფლება ჩადიოდა. ამიტომ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა მოახდინა ყოველივე ეს და ბიძინა ივანიშვილის როლი ამაში არის საკმაოდ დიდი და გადაჭარბებით რომ არ ვთქვა, ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილმა განაპირობა სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ანგარიში უნდა გაეწიოს ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებებს. მე არ ვამბობ იმას, რომ ბიძინა ივანიშვილის თითოეული სიტყვა უნდა იყოს კანონი ვინმესთვის და როგორც ეს არის სხვადასხვა დიქტატორული ტიპის სახელმწიფოებში, ისე უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ერთი რამ, რომ ბიძინა ივანიშვილის მეოხებით მოხდა სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა და იმ მთავრობაში, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი წარმოადგენს, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს. მე მგონი, ეს ძალიან კარგად ესმის ირაკლი ალასანიასაც, გუბაზ სანიკიძესაც, იმავე სანდრო ბრეგაძესაც და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ასე თუ ისე იმ პროცესებში ვმონაწილეობდით, რომელი პროცესებიც წარიმართა და რომელმა პროცესებმაც გამოიწვია საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა, არჩევნების გზით ავტოკრატიული მმართველობის ცვლილება.

***— ე.ი. თქვენ გუნდში განხეთქილებას გამორიცხავთ? ითქვა, რომ ბოროტი ენები მიუვიდა ივანიშვილს ალასანიასთან დაკავშირებით.***

— ბოროტი ენები ყოველთვის არსებობენ. მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემზეც დადიან ბოროტი ენები და სხვებზეც. ბოროტი ხალხი საკმაოდ ბევრი არსებობს ამ ქვეყანაზე, ჩვენდა სამწუხაროდ. კიდევ ერთხელ გეტყვით — ეს ადამიანები ვერ ახდენენ თავიანთი ნიჭის რეალიზებას ქვეყნის სასიკეთოდ და თავიანთი ნიჭის რეალიზებას ახდენენ იმ კუთხით, რომ სხვა ადამიანებს გაუფუჭონ საქმე, ენა მიიტანონ, მოუგონონ რაღაცა, მაგრამ ივანიშვილი არ არის ის ადამიანი, რომელიც სხვის ჭკუაზე ივლის. ივანიშვილმა მიიღო რაციონალური გადაწყვეტილება, რომელი რაციონალური გადაწყვეტილებაც ამ ეტაპზე იყო მართებული და ეს იცის თავად ბიძინა ივანიშვილმა ჩემზე უკეთესად. არიან ადამიანები, რომლებიც არა მარტო ალასანიაზე, არამედ ღარიბაშვილზეც, კალაძეზეც, უსუფაშვილზეც, ძიძიგურზეც და ყველაზე იგონებენ რაღაც ჭორებს და ცდილობენ, რომ ეს ჭორები მიიტანონ მთავრობამდე, ან გაავრცელონ ეს ჭორები მოსახლეობაში და ამითი თვითონ რაღაცა დივიდენდები მიიღონ, რაღაცა კომპლექსები დაიკმაყოფილონ, რომელიც მათ ბავშვობიდან აქვთ. აქედან გამომდინარე, მე არ ვფიქრობ, რომ ეს არის რაღაც ჭორაობისა და ენის მიტან-მოტანის შედეგი. ეს არის, უბრალოდ, ის პროცესი, რომელი პროცესიც უნდა იყოს. თქვენ არ გაგიკვირდეთ და მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ გაზაფხულისთვის კიდევ მოხდება მთავრობაში გარკვეული გადაადგილებები, ზოგი წავა, ზოგი მოვა, ზოგი ფუნქციას შეიცვლის და გადავა სხვა ადგილას და მე ვფიქრობ, რომ ეს ბუნებრივი პროცესია და არაფერი აქ საგანგაშო არ არის. მთავრობა არის ცოცხალი ორგანიზმი და სხვაგვარად არ შეიძლება. კომუნისტების დროს იყო, როდესაც ჩვენ გვახსოვს, რომ გრომიკო იყო 30 თუ 40 წელი საგარეო საქმეთა მინისტრი. ჩვენ ესე ვერ ვიმოქმედებთ. ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში,



იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ ხშირად ხდება მინისტრების ცვლილება ან ფუნქციონალური გადაადგილება და ეს ასეც უნდა იყოს.

***— ცხადია, ისინი ქვეყნის მოწყობის მოდელზე ვერ თანხმდებიან და ეს არც ერთს არ დაუმალავს, არც ალასანიას და არც ივანიშვილს, ამ საკითხზე სხვადასხვა პოზიციები აქვთ მათ. ასევე ცნობილია ისიც, რომ ალასანიას პრეზიდენტობა სურს.***

— ალასანია გახლავთ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი, რომელიც გამარჯვებულ კოალიციაში შედის და, ბუნებრივია, რომ ამ პოლიტიკური პარტიის ლიდერს შესაძლოა უნდოდეს პრეზიდენტობა, ისევე, როგორც შესაძლოა რესპუბლიკური პარტიის წევრს უნდოდეს ან სხვას. ეს ბუნებრივია, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების შედეგად უნდა მოხდეს საპრეზიდენტო კანდიდატის წამოყენება. რაც შეეხება დამოუკიდებელ თამაშს, ადრე თუ გვიან ასე მოხდება. კოალიციის ხიბლი, ერთი მხრივ, არის ის, რომ ბევრი ძალა იყრის თავს და ერთიანად ებრძვის ხოლმე გარკვეულ რეჟიმს, მაგრამ მეორე სისუსტე კოალიციას ის აქვს, რომ თავმოყრილი არიან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ძალები. მიუხედავად იმისა, რომ მე საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა მაქვს იმავე დავით უსუფაშვილთან, რესპუბლიკური პარტიის იდეოლოგიის გამტარებელი ვერასოდეს გავხდები. ისევე, როგორც რესპუბლიკელები ვერ გახდებიან ეროვნული და ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ილია ჭავჭავაძის იდეების გამტარებლები. ასევე არის განსხვავება ალასანიას პარტიასა და რესპუბლიკელებს ან იმავე ფორუმს შორის. ეს არის სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ერთობა, რომელიც გარკვეული ერთი მიზნისთვის შეიქმნა, რომელი მიზანიც იყო არჩევნების გზით დიქტატორული მმართველობის შეცვლა. ადრე თუ გვიან ყველა კოალიცია იშლება. ზოგი მიდის, ზოგი მოდის, ზოგი პარტია ძლიერდება, ზოგი პარტია სუსტდება. ეს ბუნებრივი პროცესია და ასეც უნდა მოხდეს. ამიტომ მე ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. ვერც იმაში ვხედავ ტრაგედიას, რომ მომავალ ადგილობრივ არჩევნებში ალბათ ყველა პარტიამ თავისი ძალები თავად უნდა მოსინჯოს და დამოუკიდებლად უნდა გამოვიდეს სარბიელზე. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, როგორც თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ გაიყვანა მრგვალ მაგიდაში შემავალი პარტიები პარლამენტსა თუ მთავრობაში, ზვიად გამსახურდია იყო ლოკომოტივი, ხოლო ის პარტიები, ფაქტობრივად, იყვნენ ცარიელი ვაგონები, დღესაც დაახლოებით იგივეა. ბიძინა ივანიშვილი გახლავთ ლოკომოტივი, ხოლო ის პარტიები, რომლებიც შევიდნენ პარლამენტში, ის პარტიები, რა თქმა უნდა, შევიდნენ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტისა და მის მიერ წარმოებული ჭკვიანური საარჩევნო პროცესის შედეგად. ეს ფაქტია, რეალობაა, მაგრამ ხვალ და ზეგ მე არ გამოვრიცხავ, რომ, ვთქვათ, რომელიმე პარტია გაძლიერდეს იმ დონეზე, რომ კონკურენცია გაუწიოს სხვა პოლიტიკურ ძალებს. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ერთ რამეს, ყველა ცივილიზებულ, ნორმალურ ქვეყანაში არსებობს რამდენიმე პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე ძალა, რომლებიც იბრძვიან ხელისუფლებაში მოსასვლელად. თუმცა, ამავე დროს, უნდა ვიცოდეთ ერთი რამე, ეს ბრძოლა არ უნდა იყოს არც შანტაჟის, არც შეიარაღების და არც სხვა ისეთი გზით, რომელიც მიუღებელია ცივილიზებული მსოფლიოსთვის.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, ირაკლი ალასანიამ დამოუკიდებელი თამაში წამოიწყო?***

— ყველა პარტია, რომელიც კოალიციაშია, გარკვეულწილად დამოუკიდებლად თამაშობს. აქედან გამომდინარე, მე დღეს ვერ ვიტყვი, ირაკლი ალასანიამ დამოუკიდებელი თამაში წამოიწყო თუ არა, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს გარდაუვალია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა წამოიწყონ დამოუკიდებელი თამაში. ამას, სხვათა შორის, არც ივანიშვილი არ უშლის მათ. მე რამდენადაც ვიცი და ყველაზე მეტად ბიძინა ივანიშვილში რაც მომწონს, ეს არის ის, რომ მას სურს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება ქვეყანაში, სადაც იქნება ყველანაირი პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე ძალები წარმოდგენილი. თუკი ამას განახორციელებს ივანიშვილი და, დარწმუნებული ვარ, რომ განახორციელებს, ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარი რამ. ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, რა პოლიტიკური იდეოლოგიის იყო მოქალაქეთა კავშირი. მას არანაირი პოლიტიკური იდეოლოგია არ ჰქონდა. მოქალაქეთა კავშირი თავიდან ბოლომდე დამყარებული იყო ფულის შოვნაზე და შევარდნაძის გარემოცვაში ყოფნაზე, იმისათვის, რომ საკუთარი კეთილდღეობა მოეწყოთ და საქართველო დაექციათ. ასევე გაურკვეველი იყო ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ორიენტაცია. სააკაშვილი ხან მემარცხენეა, ხან უკიდურესი მემარჯვენე, ხან ნაციონალისტია და ხან ლიბერალი, ვერ გაიგებ, ერთგვარი აჯაფსანდალი იყო. ზუსტად ამან გამოიწვია პოლიტიკური პარტიების კრახი და საერთოდ პოლიტიკური სისტემის კრახი საქართველოში. დღეს თუ ჩამოყალიბდება ისეთი სისტემა, სადაც მრავალფეროვნება იქნება და ამომრჩეველს საშუალება მიეცემა, თავისი პოლიტიკური გემოვნების მიხედვით აირჩიოს, რომელ პოლიტიკურ ძალას უნდა დაუჭიროს მხარი, ეს იქნება შესანიშნავი.

***— ნაციონალებს რაც შეეხება, მათში დიდი სიხარული გამოიწვია ალასანიასთან დაკავშირებულმა ინციდენტმა, ირღვევა კოალიცია ოცნებაო, ასეთი შეფასებებიც გავიგეთ...***

— ნაციონალები არიან... როგორ გითხრათ, მარგინალური ძალაც აღარ არის უკვე. მე მათ ზიზღით არასოდეს არ ვუყურებდი, დღეს მე ისინი სერიოზულად მეცოდებიან. საცოდავი ადამიანები არიან ამ ძალაში თავმოყრილი. იმდენი ცოდვა აქვთ ჩადენილი და ამ ცოდვებისგან იმდენად არიან დამძიმებული, რომ მათ გონება აქვთ დაბნეული. ნაციონალებს უხარიათ, რომ განხეთქილებაა „ქართულ ოცნებაში“? კარგით, რა, ნაციონალებს ის უნდა უხაროდეთ, რომ ისინი ჯერჯერობით აცდენილი არიან ქართველი ერის რისხვას, არადა, ქართველი ხალხის რისხვა მათდამი საკმაოდ მძაფრი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ეტყობა, რომ ქართველები ჰუმანური ერი ვართ და ეს რისხვა არ არის. თქვენ წარმოიდგინეთ, ნაციონალური მოძრაობის ტიპის მმართველობა რომ დაემხოთ რომელიმე არაბულ სამყაროში, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ მათი მმართველები. ჩვენ დავინახეთ ლიბიის პრეზიდენტი მუამარ კადაფი, რომელსაც, სხვათა შორის, იმაზე ბევრად მეტი ცოდვა არ ჰქონდა ჩადენილი, რა ცოდვაც ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაიდინა თავისი არსებობის მანძილზე. ჩვენ დავინახეთ, კადაფმა, მისმა ოჯახის წევრებმა და მისმა მომხრეებმა როგორ დაასრულეს სიცოცხლე. ბედნიერი ვარ, რომ, ჩვენ განვსხვავდებით ამ ტიპის ხალხისგან და ბევრად უფრო ჰუმანურები და ბევრად უფრო ცივილიზებული ერი ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცები იმსახურებენ, ქართველი ერი არ ატეხს მათ ასეთ რისხვას. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნაციონალებმა შევარდნაძის მსგავსად უნდა ისარგებლონ ამით. ჯობდა, შევარდნაძის რეჟიმიც გასამართლებულიყო და დღესაც არ არის ეს გვიანი. 85 წლის კი არა, უფრო დიდი ხნის იყო პინოჩეტი, როდესაც ესპანეთში დააპატიმრეს ის და სასამართლო პროცესი მოუწყვეს. ანალოგიური უნდა მოხდეს ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებით. იმდენად თავხედები არიან, რომ კიდევ ბედავენ ლაპარაკს. მერაბიშვილი რომ გამოვა და იმაზე ლაპარაკს დაიწყებს, ბიზნესის დატერორება დაიწყოო, ეს უკვე თავხედობაც აღარ არის. ამის შესატყვისი სიტყვა არ არსებობს ქართულში, რომ ამ საქციელს შევუსაბამო. საერთოდ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, მერაბიშვილი, რომელიც ბიზნესებს ატერორებდა, ბიზნესებს ართმევდა, რომელიც იჭერდა, ოჯახებს უწიოკებდა, სიცოცხლეს ართმევდა ადამიანებს, დღეს გამოდის და ურცხვად აცხადებს, ბიზნესმენებს ატერორებენო. აი, ეს სითავხედე უნდა მოისპოს. ერთია, რომ შენ ადამიანს აპატიო, მან იცოდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში თავისი ადგილი და დარცხვენილი დადიოდეს ქუჩაში, მაშინ შენ მისადმი შეცოდების გრძნობა გაგიჩნდება, ისეთი, როგორიც მე მქონდა ნაციონალების მიმართ, მაგრამ მეორეა, როდესაც შენ ადამიანს აპატიებ დიდ დანაშაულს და ის შემდგომში, მოძლიერებული, აქეთ შეტევაზე გადმოდის. ამიტომ მერაბიშვილისა და ასეთი ტიპის ადამიანების თავხედობა მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აუცილებელია გასამართლდეს და ნიურნბერგის პროცესი მოეწყოს ნაციონალურ მოძრაობას. არა კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ ნაციონალურ მოძრაობას. ნიურნბერგის პროცესის შემდეგ ფაშისტური პარტია აკრძალული იყო, ზვიად გამსახურდიამ კი კომუნისტური პარტია აკრძალა საქართველოში და შესაძლებელია, დამოუკიდებელმა სასამართლომ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომ ეს მოძრაობაც საერთოდ აიკრძალოს.

2013, 26 – 27 იანვარი, №21

# თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილმა რუსული კურსი აირჩია“

შორენა კოწოწაშვილი

**თამარ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლება მოსვლის დღიდან არასწორი ნაბიჯებით მიდის. განსაკუთრებით საგანგაშო კი რუსული კურსის ღიად გამოკვეთაა.**

– თუ დამანგრეველი, ეკოლოგიური კატასტროფის მომტანი დიდი ჰესების მშენებლობა შეწყდება, რაზეც განცხადება გაკეთდა, ერთადერთი დადებითი ნაბიჯი ამ ხელისუფლების, დღემდე გადადგმული, ეს იქნება, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლების მოღვაწეობის სამთვიან პერიოდს აფასებს.

*– ქალბატონო თამარ, რას იტყვით პატრიარქის მოსკოვში ვიზიტზე და რამდენად პოზიტიური ეს ვიზიტი პოლიტიკური თვალსაზრისით?*

– რაც ტელევიზიით იქნა გადაცემული, მე მარტო იმ ინფორმაციას ვფლობ. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ძნელია შეფასება. თუ მარტო ის არის, რაც გარეთ იქნა გამოტანილი, მაინცდამაინც სასიამოვნოდ არ მიმაჩნია.

*– ანუ ეს პოზიციები, რომლებიც გამოიკვეთა, პირველ დადებით ნაბიჯებად არ შეიძლება ჩაითვალოს?*

– თუ მხოლოდ ის ინფორმაციაა ძალაში, რაც ოფიციალურად იქნა გაცხადებული, ამის საფუძველზე არა მაქვს მე საშუალება, დავასკვნა, რომ ეს დადებითი ნაბიჯია. თუ არის რაღაც ისეთი, რაც ოფიციალურად არ გაცხადებულა და ჩვენ არ ვიცით, სხვა საკითხია, ხოლო რაც ოფიციალურად ითქვა, ის მაინცდამაინც აღფრთოვანების საფუძველს არ იძლევა.

*– საერთოდ, რას იტყვით კურსზე, რაც გაცხადებულია ახალი ხელისუფლების პირობებში. სწორი მიმართულებით იდგმება ნაბიჯები იმავე კონფლიქტურ ზონებთან მიმართებით?*

– წინა შეკითხვისგან განსხვავებით, აი, აქ შემიძლია, სრულიად გარკვევით და კატეგორიულად გაგცეთ პასუხი. ის კურსი, რომელიც არჩეული აქვს ხელისუფლებას, მართალია, ბევრ რამეს მალავს და პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ისიც კი, რაც ღიად არის ნათქვამი, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ეს კურსი კატეგორიულად უარყოფითად შევაფასო. საერთოდ, სანამ ეს კოალიცია ხელისუფლებაში მოვიდოდა, ამ გუნდში გაერთიანებული იყვნენ ისეთი ძალები, რომელთა პოზიცია ამ საკითხში ნათელი იყო, ცნობილი იყო მათი გამონათქვამები წლების მანძილზე. მათ დაწერილი ჰქონდათ გარკვეული კონცეფცია. არა მარტო მათ, არამედ შევარდნაძესთან ერთად, მაშინდელ ნაციონალებთან ერთად გამოქვეყნებული ჰქონდათ კონცეფცია, მე რესპუბლიკელებს ვგულისხმობ, რომელიც თავისი შინაარსით აბსოლუტურად ანტისახელმწიფოებრივი იყო. ეს კონცეფცია ითვალისწინებდა საქართველოს დაშლის იურიდიულ გაფორმებას. ეს კონცეფცია ძალიან ადრე, 2003-2004 წლებში გამოქვეყნდა, ანუ მათი პოზიცია ცნობილი იყო, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას. შეიძლება, ამას პირდაპირ არ ამბობდნენ, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოებზე ლაპარაკობდნენ და ამას დამოუკიდებლობის აღიარება ჰქვია. მათ ასევე თქვეს პირობით კავშირზე, ხელშეკრულებით ურთიერთობებზე აგებულ რაღაც სახელმწიფოს წარმოშობაზე. ეს ნიშნავს დამოუკიდებლობის აღიარებას და პირველი სახელმწიფო ნებისმიერ დროს დაიშლება. ამ დაშლის შედეგად მივიღებთ ერთეულს, რომლის დამოუკიდებლობა უკვე მთელი მსოფლიოს მიერ არის ცნობილი. ეს სქემა მათ შემუშავებული ჰქონდათ. გარდა ამისა, თავის დროზე ამ კოალიციაში თავი ამოყო ექსპერტად წოდებულმა მამუკა არეშიძემ, რომელმაც, რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, ღიად გამოაცხადა მოწოდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, ანუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. წელიწადზე მეტია, რაც ეს მოხდა. ამგვარად, როდესაც კოალიციაში თავს იყრიან ასეთი ტიპის ძალები, უკვე თავისთავად ექმნება ადამიანს შთაბეჭდილება, რომ დღეს კოალიცია არის ამ პოზიციაზე. შემდეგ ამას მოჰყვა ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა, ამ კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი ავტორი, პაატა ზაქარეიშვილი, დანიშნა სახელმწიფო მინისტრად რეინტეგრაციის საკითხებში. ეს იმას ნიშნავს, რომ პრემიერი მიესალმება იმ პოლიტიკას, რომელსაც ზაქარეიშვილი განასახიერებს. მართალია, ზაქარეიშვილმა ღიად ვერ განაცხადა, რომ მე მომხრე ვარ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების, მან არ მოსინჯა მამუკა არეშიძის გზა, როცა გამოიკვეთა, რომ ქართველი საზოგადოება ამისთვის მზად არ არის. გარდა ამისა, თვითონ პაატა ზაქარეიშვილმაც აღიარა, რომ ამისთვის მსოფლიოც არ არის მზად. მსოფლიო, პირიქით, მხარს უჭერს ამ ტერიტორიების დეოკუპაციას. აქედან გამომდინარე, ისინი პირდაპირ აღარ აცხადებენ, რომ ისინი დამოუკიდებლობის აღიარებაზე არიან ორიენტირებული, მაგრამ დაიწყეს ამისთვის სიტუაციის მომზადება.



*– რას ნიშნავს, ამისთვის სიტუაციის მომზადება დაიწყეს?*

– ამისთვის სიტუაციის მომზადება ნიშნავს ცხინვალისა და სოხუმის მხარეებად აღიარების იდეას, რომლითაც თავისი მინისტრობის პირველივე დღეებში პაატა ზაქარეიშვილი გამოვიდა. გარდა ამისა, მათ შეტევა დაიწყეს „ოკუპირებული რეგიონების შესახებ“ კანონზე. ეს შეკვეთა რომ რუსეთიდან მოდის, აბსოლუტურად მარტივი მისახვედრია. იმავე დღეებში სინქრონულად რუსეთი მოითხოვდა და, საერთოდ, ყოველთვის მოითხოვს, მაგრამ მაშინ განსაკუთრებული განცხადებები გაკეთდა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის“ გაუქმებასთან დაკავშირებით. ისინი, ზოგადად, სიტყვა „ოკუპაციას“ ებრძვიან იმიტომ, რომ ეს არ არის ცარიელი სიტყვა, როგორც ეს ჰგონიათ ბერძენიშვილებს, ხიდაშელებსა და სხვებს. ცარიელი სიტყვა ეს ნამდვილად არ არის. მსოფლიო ამ სიტყვას ხმარობს და ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. დაიწყეს ამ სიტყვის წინააღმდეგ ბრძოლა, პირდაპირ ამას ვერ ამბობენ და ლაპარაკობენ ამ კანონის შემსუბუქებაზე, ანუ ჯერ პირდაპირ ვერ ამბობენ, რომ ოკუპაციის ტერმინს ებრძვიან, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ, რომ მას რეალური შინაარსი დაუკარგონ, ვინაიდან, როგორც ვთქვი, თუ მხარედ ვცნობთ სოხუმს და ცხინვალს, რუსეთი, ფაქტობრივად, ოკუპანტი აღარ არის. იმიტომ, რომ საქმე გვაქვს ორ მხარესთან – ქართულ მხარესთან და აფხაზურ მხარესთან ერთი მხრივ და მეორე მხრივ, შესაბამისად, ქართულ მხარესა და ოსურ მხარესთან არსებულ კონფლიქტთან, ანუ ნაციონალურ, ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტთან და არა გარეშე სახელმწიფოს ოკუპაციასთან. ამავე დროს, იციან, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი ოკუპანტი აღარ გამოდის. აი, აქეთკენ მუშაობენ. აგრეთვე საგულისხმოა ივანიშვილის განცხადება და არა მარტო მისი. მანამდე იგივე პაატა ზაქარეიშვილის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის შესახებ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ რუსეთს ვაძლევთ იმ ბერკეტს, რომელიც ჩვენ ხელში გვაქვს, ანუ გამოდის, დღეს ჩვენ უარს ვამბობთ იმ ბერკეტზე, რომელიც ხელში გვაქვს. აფხაზეთის რკინიგზის გახსნა არის ჩვენთვის ბერკეტი, იმიტომ რომ რუსეთის ამით დაინტერესებულია – სტრატეგიულად, ყველანაირად. ეს ჩვენ უფასოდ კი არ უნდა მივცეთ, რკინიგზის გახსნა მხოლოდ დეოკუპაციის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. დეოკუპაციის გარეშე რუსეთისთვის ისეთი სიტუაციის შექმნა, რომ თითქოს არაფერი მომხდარა და მისთვის ყველა ამ დისკომფორტის მოხსნა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მომავალში დეოკუპაციის იარაღს ვკარგავთ. ეს პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. სხვათა შორის, ამ სიტუაციის ძალიან კარგი მაგალითი იყო იგივე ნიკა ვაშაკიძის – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გადადგომა და მის მიერ გადადგომის მიზეზად დაფიქსირებული პოზიცია. უკვე სრულად ნათელია ის, რაც ხდება.

*– სააკაშვილის ხელისუფლების კურსი უფრო მართებული გამოჩნდა, ვიდრე ახალი ხელისუფლების ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით?*

– ზემოაღნიშნულთან ერთად, სახეზე გვაქვს ბიძინა ივანიშვილის მიერ სომხეთში გაკეთებული განცხადება. ეს ყველაფერი, ერთად აღებული და ფაქტები გვიქმნის სურათს, რომ ხელისუფლება პირდაპირ ვერ აცხადებს ევროატლანტიკური კურსის ცვლილებას. სხვათა შორის, ამას საქართველოს რუსეთიც არ სთხოვს, რომ საქართველომ ეს ღიად განაცხადოს, იმიტომ რომ ცარიელ სიტყვებად ნატო-ნატოს ძახილი რუსეთისთვის აბსოლუტურად დასაშვებია და მისაღები, თუკი რეალურად ამის საწინააღმდეგო საქმე გაკეთდება. ამდენად, ივანიშვილის ხელისუფლება გარეგნულად ინარჩუნებს თითქოსდა ევროატლანტიკურ ფრაზეოლოგიას, მაგრამ თავისი საქმით, იგივე რკინიგზის გახსნისკენ მოწოდება, იგივე სომხეთში კურსის საქართველოსთვის მისაბაძად გამოცხადება, აგრეთვე სოხუმისა და ცხინვალის მხარეებად აღიარებისკენ მისწრაფება, თუნდაც ძალიან დიდი მნიშვნელობის – ზედმეტი და არაადეკვატური მნიშვნელობის მინიჭება ემბარგოს მოხსნისთვის და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისთვის. ეს ყველაფერი ერთიანად ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილების სურათს ქმნის. რაც შეეხება წინა ხელისუფლებას, თქვენთვისაც ცნობილია, რომ მე ყოველთვის კრიტიკულად ვიყავი იმ ხელისუფლების მიმართ განწყობილი. სააკაშვილისა და მისი გუნდის მომხრე არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ ყველაფერი შედარებითია ამ ქვეყანაზე. რასაკვირველია, თუკი წინა ხელისუფლებაც თავისი ქმედებებით რუსეთის ინტერესებს ახორციელებდა, მიუხედავად ანტირუსული ფრაზეოლოგიისა, მაინც ის ხელისუფლება უფრო მეტად ითვალისწინებდა დასავლეთის, ამაში იგულისხმება ამერიკაც, მათ პოზიციებს; აქედან გამომდინარე, დასავლურ ღირებულებებს. დასავლეთის მოთხოვნას ნაციონალები გაცილებით მეტად ითვალისწინებდნენ ამ საკითხში. ყოველ შემთხვევაში, მართალია, მან თავისი უარყოფითი როლი ამ სფეროში შეასრულა, მაგრამ შემდეგ უკვე ის იცავდა აუღიარებლობისა და ოკუპანტისთვის ოკუპანტის წოდების პოლიტიკას, რაც, რასაკვირველია, ბევრად უფრო სწორი იყო და გამართული, ვიდრე ამ ხელისუფლების ამჟამინდელი პოლიტიკა.

*– რაზე მიანიშნებთ, ახალი ხელისუფლება მოუმზადებელი აღმოჩნდა, კონფლიქტურ ზონებთან მიმართებით სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ემოქმედა?*

– სიტყვა „მოუმზადებელი“ რამდენად შესაფერისია, არ ვიცი, იმიტომ რომ ეს შეიძლება სრულიად შეგნებულად წარმოებული პოლიტიკა იყოს. მართალია, მე, ისევე, როგორც ბევრი სხვა, თავიდანვე მივესალმებოდი უკეთესი ხელისუფლების მოსვლას, მაგრამ იმთავითვე ეჭვის თვალით ვუყურებდი და უნდობლობით ვეკიდებოდი კოალიციას, რომელიც ივანიშვილმა შექმნა. ზოგადად, ივანიშვილისგან ვიცი, რომ არ უნდოდა. ვიცი, რომ ყოველთვის ასეთი მასშტაბის პროცესები საქართველოში, სამწუხაროდ, გარედან იმართება. გარდა ამისა, არსებობს ასეთი ჯიუტი ფაქტი, რომელზეც თვალის დახუჭვა მხოლოდ გულუბრყვილოებს შეუძლიათ; ან ვიღაც შეგნებულად ხუჭავს თვალს, იმიტომ რომ არსებობს ისეთი ურყევი ფაქტი, რომლის უარყოფა არ შეიძლება. რუსეთი არ არის დემოკრატიული ქვეყანა. შეიძლება ფული გაშოვნინოს და დარჩე დამოუკიდებლად, მაგრამ მეორე საკითხია, ამ ნაშოვნ ფულს რომ გამოგატანს პოლიტიკურ პროცესში ჩასართავად, თუკი ეს რუსეთს არ აწყობს. რადგან ივანიშვილს ეს ფული გამოატანეს საქართველოში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იმისთვის, რომ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულიყო და, ზოგადად, გამოატანეს ეს ფული, ჩემთვის ამით უკვე ნათელი იყო, რომ ხელისუფლების ცვლილება, რომელიც განხორციელდა ოქტომბერში, ნამდვილად არ მომხდარა რუსეთის მონაწილეობის გარეშე. როდესაც საქართველოში ხელისუფლების ცვლილება რუსეთიდან ხდება, უკვე, რა თქმა უნდა, ადამიანი ფრთხილად უნდა იყოს და არ უნდა მოელოდეს იმას, რომ ეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის ხდება.

*– თქვენი აზრით, დასავლეთთან ურთიერთობაში უარყოფითად აისახება ხელისუფლების მხრიდან გამოკვეთილად რუსული კურსის დაფიქსირება?*

– რა თქმა უნდა. ეს უარყოფით გავლენას იქონიებს. ასევე უარყოფით გავლენას იქონიებს ის აბსოლუტურად მახინჯი ფორმის დაპატიმრებები, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობს. ეს არის მახინჯი ფორმით მიმდინარე პროცესი ვითომდა სამართლიანობის სახელით. ეს არის აბსოლუტურად არაადეკვატური პროცესი. სამართლიანობის აღდგენა იქნებოდა საქმეების შესწავლა, რომლებიც ეხება ადამიანების წამებას, ქონების უკანონოდ ჩამორთმევას, მკვლელობების გამოძიება, რომელიც არაერთი განხორციელდა ნაციონალების მხრიდან. იმავე ზურაბ ჟვანიასა და გურამ შარაძის მკვლელობის გამოძიება. შარაძე პირდაპირ ქუჩაში დახვრიტეს. ასეთი საკითხები რომ გამოძიებულიყო, იგივე ციხის საკითხი და დამდგარიყო ობიექტური განაჩენები, ამას მსოფლიოში არავინ ჩათვლიდა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად. დღეს კი სრულიად სხვა სურათი გვაქვს. ამ დაპატიმრებებს არავითარი კავშირი არ აქვს მკვლელობებთან, წამებებთან, ქონების ჩამორთმევასთან და ა.შ.

## ავღანეთში სამი ქართველი სამხედრო დაიჭრა

ავღანეთში სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კაპრალ ერეკლე ხარშილაძეს და უმცროს სერჟანტ იაგო კაკულიას, პატრულირებისას მოწინააღმდეგემ ცეცხლი გაუხსნა. შედეგად ორივე მსუბუქად დაშავდა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია. ისინი მკურნალობას გერმანიაში, ლანდშტულის ამერიკულ ჰოსპიტალში გადიან.

რაც შეეხება მესამე მოსამსახურეს, რიგით გურამ ჩიმახიძეს, ის პატრულირების დროს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგად მძიმედ დაიჭრა.

სამხედრო მოსამსახურე ბასტიონის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია. გურამ ჩიმახიძეს მკურნალობის გასაგრძელებლად გერმანიაში, ლანდშტულის კლინიკაში უახლოეს მომავალში გადაიყვანენ.

ნიუსპრესი

## კახა მიქაია: „ალასანიამ არადიპლომატიური და პოლიტიკურად მოუმწიფებელი განცხადება გააკეთა“



საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველო“-ს წევრის კახა მიქაიას განცხადებით, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მიერ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაკეთებული განცხადება, არადიპლომატიური და პოლიტიკურად მოუმწიფებელი იყო.

„როცა ალასანიას მისამართით სიტყვა „მოღალატე“ გამოვიყენე, მე გამოვეხმაურე არა ირაკლი ალასანიას გათავისუფლებას, არამედ მის განცხადებას, რომელიც კვესიტაძის ეთერში გააკეთა, როდესაც ბრძანა, რომ მას მძიმე საუბარი ჰქონდა პრემიერ-მინისტრთან. საზოგადოება ალასანიას მხრიდან ასეთი მკვეთრი, არადიპლომატიური და პოლიტიკურად მოუმწიფებელი განცხადებების გაკეთებას არ არის მიჩვეული. ამ განცხადებამ, საზოგადოებაში, სამეგრელოში და კერძოდ ზუგდიდში, სადაც ის მაჟორიტარობის კანდიდატი იყო, შეშფოთება გამოიწვია. მე ვფიქრობ, რომ ასეთი განცხადებები არ უნდა კეთდებოდეს და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა. ქართულ ოცნებაში თუ რამე შიდა პრობლემები და დაპირისპირებებია, მათი განხილვა ტელეეთერით არ უნდა ხდებოდეს“-განაცხადა მიქაიამ.

ნიუსპრესი

## თბილისში დაკავებულ ისრაელის მოქალაქეს უვადო პატიმრობა ემუქრება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ნარკოდანაშაულისთვის, ისრაელის მოქალაქე, 1955 წელს დაბადებული თენგიზ ჩ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 21 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ ამოიღეს.

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 260-ის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით აღიძრა, რაც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის II მთავარი სამმართველოს III სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

# რაში დახარჯა კულტურის სამინისტრომ 12 მილიონი?

ეკა ირემაშვილი

რაში დახარჯა გასულ წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 12 მილიონი ლარი? – ამის გარკვევა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა დაიწყო და საბოლოო შედეგებიც გაასაჯაროვა.

ინსტიტუტმა კულტურის სფეროს დაფინანსების პრიორიტეტები შეაჯამა, რომელიც მოიცავს 2012 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე პერიოდს და ყველა იმ კულტურული ღონისძიების საფინანსო ნუსხას წარმოადგენს, რომელზეც კულტურის სამინისტრომ ხარჯები გაიღო. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ეს ინფორმაცია საჯარო გახადა და საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა.

– ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი წლების განმავლობაში ცდილობდა მოეპოვებინა ინფორმაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე გაწეულ ხარჯებზე. 2011 წელს აღნიშნული საკითხის გასარკვევად ჩვენ ორჯერ მივმართეთ სამინისტროს. პირველი მოთხოვნა, რომელიც 2011 წლის 2 მაისს გაიგზავნა, უპასუხოდ დარჩა. განმეორებით მოთხოვნაზე, რომელიც გაიგზავნა 2011 წლის 12 სექტემბერს, ჩვენ ვითხოვდით 2011 წლის მეორე კვარტალში – აპრილი-მაისი-ივნისი განხორციელებული ღონისძიებების, იქნებოდა ეს სარეკლამო, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური თუ სხვათა ჩამონათვალს და თითოეულ ღონისძიებაზე გახარჯული თანხის ოდენობას. ამ საკითხზე სამინისტრომ შემდეგი შინაარსის არასრულყოფილი პასუხი მოგვაწოდა: „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 2011 წლის მეორე კვარტალში ხელფასების ხარჯმა შეადგინა 379.621 ლარი, ხოლო დარიცხულმა პრემიებმა 168.400 ლარი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის რეკონსტრუქციის ხარჯმა შეადგინა 7.600 ლარი. რაც შეეხება თქვენ მიერ მოთხოვნილ 2011 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ, კერძოდ, რომელი ღონისძიების ან პროექტის შესახებ გნებავთ ინფორმაციის მიღება“, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ გიორგი ყიფიანმა. როგორც ჩანს, 2012 წელს საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების ფონზე შეიცვალა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიდგომაც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ზოგადად საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების კუთხით. შესაბამისად, ჩვენ პირველად მივიღეთ სრული ჩამონათვალი და დაფინანსების ოდენობა იმ სოციალური და კულტურული ღონისძიებებისა, რომლებიც 2012 წლის განმავლობაში განახორციელა სამინისტრომ, აგრეთვე, პირველად მივიღეთ ინფორმაცია იმ იურიდიული თუ ფიზიკური პირების შესახებ, ვინც უშუალოდ მიიღო დაფინანსება და განახორციელა პროექტები. ვფიქრობთ, აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმის გასარკვევად, თუ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რა მიმართულებების განვითარებას უწყობდა ხელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, – ნათქვამია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ოფიციალურ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროექტისა თუ ღონისძიებისთვის იხარჯებოდა ეროვნული ვალუტა – ლარი, ნაწილისთვის კი – დოლარი და ევრო. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით ირკვევა, რომ თებერვლის თვეში კულტურის სამინისტრომ დააფინანსა შემდეგი პროექტები: საახალწლო კონცერტი საჩხერეში 76.058 ლარი, რუსთაველის თეატრში „ქეთო და კოტეს“ ორგანიზება – 384.500 ლარი, ზუმბას გასტროლი პოლონეთსა და უკრაინაში – 7.000 ლარი, შინისა და მაია ბარათაშვილის კონცერტი – 6.330 ლარი, ბათუმში ლუჩია დი ლამერმურის ოპერის დადგმა – 412.800 ლარი, ჯაზფესტივალის ჩატარება ბათუმში – 460.000 ევრო, დიზაინერის მარსელ ვანდესის ვიზიტი – 14.024 ლარი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, თებერვლის თვეში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან ყველაზე მსხვილი თანხები გამოიყო მიუზიკლ „ქეთო და კოტე“-ს ორგანიზებისთვის 385.500 ლარი, ბათუმში ლუჩია და ლამერმურის ოპერის დადგმისთვის 412.800 ლარი და ბათუმში ჯაზფესტივალის ჩატარებისთვის 460.000 ევრო. მთლიანობაში თებერვლის თვეში კულტურის სამინისტრომ გახარჯა 900.712 ლარი და 460.000 ევრო.

– საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ საჩხერეში 13 იანვარს გამართულ საახალწლო კონცერტთან დაკავშირებული ხარჯების 76.058 ლარის ანაზღაურება მოხდა თითქმის ერთი თვის შემდგომ, 7 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, – აღნიშნავს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

მარტის თვეში კულტურის სამინისტრომ დააფინანსა შემდეგი ღონისძიებები: ფესტივალ „ჩვენებურებში“ მონაწილეობა – 20.825 ევრო, 30 წლის აღსანიშნავი ნინო ანანიაშვილის ღონისძიება – 310.000 ლარი, ალექსანდრე ბასილაიას 70 წლისადმი მიძღვნილ კონცერტში ნოდიკო ტატიშვილის მონაწილეობა – 7.500 ლარი, ბექა გოჩიაშვილის კონცერტის გამართვა ნიუ იორკში – 8.800 დოლარი, ბუბა კიკაბიძის საკონცერტო ტურნე პოლონეთსა და იტალიაში – 180.000 ლარი, კაროლინა კემპბელის კონსულტაციების ჩატარება – 57.817 დოლარი. ყველაზე ძვირადღირებული პროექტები მარტის თვეში ნინო ანანიაშვილის „30 წლის აღსანიშნავი“ ღონისძიებაა, რომელიც 310.000 ლარი დაჯდა და მომღერალ ბუბა კიკაბიძის საკონცერტო ტურნე პოლონეთსა და იტალიაში 180.000 ლარი. სულ მარტში სამინისტროს მიერ გაიხარჯა 497.500 ლარი, 66.617 დოლარი და 20.825 ევრო.

აპრილის თვეში კულტურის სამინისტრომ პრიორიტეტებად მიიჩნია შემდეგი პროექტები: პროექტის დაფიონი სუპერ ნოვა დომინე განხორციელება – 5.580 ლარი, პარიზში საქველმოქმედო კონცერტის გამართვა – 11.300 ლარი, თბილისის მოდის კვირეული – 20.000, არტ-გენის ჩატარება – 30.000 ლარი, როკ-კონცერტის ჩატარება – 2.250 ლარი, ბაკურ ბურდულის სიმღერის ჩაწერა – 2.500 ლარი, ჯგუფი „იუ არის“ ალბომის ჩაწერა – 2.000 ლარი, სპექტაკლ „ნატვრის თვალის“ დადგმა – 10.000 ლარი, ნიუ იორკში ბექა გოჩიაშვილის კონცერტი – 978 დოლარი, სტუდენტური ფილმების ფესტივალი „ამირანი“ – 5.000 ლარი, პროექტის განხორციელება „პუნქტუმ, კონტრა, პუნქტუმ“ – 17.538 ლარი, ქუთაისში გამოფენის მოწყობა – 14.718 ლარი. სულ აპრილის თვეში გაიხარჯა 120.886 ლარი და 978 დოლარი.

მაისის თვეში დაფინანსდა შემდეგი პროექტები: დუდა გაბაშვილის გამოფენის მოწყობა – 3.200 ლარი, 26 მაისის კონცერტის ორგანიზება – 564.972 ლარი და 207.298,3 დოლარი, მერაბ სეფაშვილის კონცერტი – 30.575 ლარი, განახლებული მესხიშვილის სახელობის თეატრის საზეიმო გახსნა – 61.012 ლარი, საერთაშორისო ფესტივალი თბილისი ოპენ ეარ ალტერვიჟენი – 500.000 ლარი, დიმიტრი შევარდნაძის გამოფენის მოწყობა – 6.143,75 ლარი, მიუზიკლი „ქეთო და კოტეს“ ორგანიზება 265.211 ლარი, ქართველი და ლიტველი პიანისტების კონცერტი ბათუმში – 298.705,94 ლარი, საზოგადო მოღვაწეთა 5 ვარსკვლავის გახსნა – 13.500 ლარი, ფესტივალის თბილისი ოპენ ეარ ალტერვიჟენი – 27.000 ლარი, ქუთაისსა და ბათუმში გამოფენის მოწყობა – 10.000 ლარი. მაისის თვეში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი ოდენობით თანხა 564.972 ლარი და 207.298 დოლარი გამოიყო 26 მაისს ქუთაისში საზეიმო კონცერტის გამართვისთვის. 500.000 ლარით დაფინანსდა საერთაშორისო ფესტივალი თბილისი ოპენ ეარ ალტერვიჟენი. 298.705 ლარი გამოიყო მიუზიკლ „ქეთო და კოტე“-ს ორგანიზებისთვის, 30.575 ლარით დაფინანსებული იქნა მომღერალ მერაბ სეფაშვილის კონცერტი. მთლიანობაში მაისში სამინისტრომ გახარჯა 1.780.320 ლარი და 207.298 დოლარი.

2012 წლის ივნისის თვის პრიორიტეტები აღმოჩნდა: რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი – 1.500 ლარი, პროექტი ღია ცის ქვეშ – 85.000 ლარი, არტ-გენის ჩატარება – 199.131 ლარი, ჯგუფი „მგზავრების“ კონცერტი ვენაში – 9.250 ლარი, პროექტი „მე მიყვარს საქართველო“ ორგანიზება – 480.000 ლარი, კავკასიის ჯაზ-ფესტივალი – 5.505 დოლარი, ანაკლიაზე ვიდეო კლიპის გადაღება – 129.900 ლარი, არქიტექტურის ფესტივალი – 5.200 ლარი, ქუთაისში „მგზავრების“ კონცერტი – 12.500 ლარი, ახალციხეში კონცერტის ჩატარება – 1.356.800 ლარი, რაჭაზე კლიპის გადაღება – 178.393 ლარი. სულ ივნისის თვეში კულტურის სამინისტრომ გახარჯა 2.457.674 ლარი და 5.505 დოლარი. ივნისის, თვეში ყველაზე დიდი თანხა, 1.356.800 ლარი გამოყოფილი იქნა ახალციხეში კონცერტის ჩატარებისთვის. აღნიშნული ღონისძიება მიეძღვნა რაბათის კომპლექსის გახსნას, „16 აგვისტოს ახალციხეში, განახლებული რაბათის ციხის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმის ფარგლებში, კონცერტი გამართა სომხური წარმოშობის ფრანგმა მომღერალმა და მსახიობმა შარლ აზნავურმა, რომელიც წარმომავლობით ახალციხიდანაა. გახსნის ცერემონიას და კონცერტს დაესწრნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მეუღლე სანდრა რულოვსი“. როგორც ხელშეკრულებაშია ნათქვამი: „ანგარიშსწორება მოხდება ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე 30 ივნისამდე ჩაირიცხება 900.000 ლარი, მეორე ეტაპის თანხა 456.800 ლარი – 5 ივლისამდე“. ამავე პერიოდში 480.000 ლარით დაფინანსდა პროექტი „მე მიყვარს საქართველო“, რომელიც საქართველოს რეგიონებს მოიცავდა და პატრიოტული სიმღერების ავტორებისა და მათი კომპოზიციების აღმოჩენით იყო დაკავებული.

ივლისის თვეში კულტურის სამინისტრომ დააფინანსა: ბათუმში ხოაკინ კორსეტსის კონცერტი – 550.000 ლარი, პოლონელი მხატვრების პლენერის ჩატარება ანაკლიაში – 6.000 ლარი, სპექტაკლის „ჩვენ ვცეკვავთ გერშვინს“ გამართვა – 23.475 ლარი, გორან ბრეგოვიჩის კონცერტის ორგანიზება – 179.223, 39 ლარი, ანაკლიაში 33ა-ს კონცერტი – 104.229 ლარი, ბათუმში ვია75-ის კონცერტი – 85.183 ლარი, ელისო ბოლქვაძისა და დავით მუქერიას კონცერტი – 62.818 ლარი, ნანული აბესაძის საიუბილეო საღამო – 65.688 ლარი, რაჭაზე კლიპის გადაღება – 21.467 ლარი, პროექტი მეამაყება საქ-არტ-ველო – 54.118 ლარი, პროექტის „შავი ზღვის ახალგაზრდა დიპლომატთა სკოლა“ განხორციელება – 17.000 ლარი, სინეთიკ თეატრის გასტროლის ორგანიზება – 82.500 ლარი, ბათუმში ბულვარის ტერიტორიაზე მუსიკალური წარმოდგენის ჩატარება – 15.316 ლარი, იტალიაში ფესტივალ „ჩვენებურების“ ეგიდით კონცერტის ჩატარება – 12.640 ევრო, სპექტაკლი „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ – 12.440 ლარი, სპექტაკლი „მარიამ სტიუარტი“ – 12.465 ლარი, სვანეთის კლიპის გადაღება – 244.860 ლარი, სიმონეთში კლდიაშვილის საიუბილეო ღონისძიება – 47.141 ლარი, მიუზიკლის „ვერის უბნის მელოდიების“ ორგანიზება – 1.716.985 ლარი, გამოფენის „არტისტერიუმი 2012“ ჩატარება – 25.000 ლარი, კინოფესტივალის ჩატარება – 50.000 ლარი, ფესტივალი „ღამის სერენადების“ ჩატარება – 68.690 ლარი. ივლისის თვე გამორჩეული იყო სხვადასხვა ღონისძიებებისა და მსხვილი პროექტების დაფინანსების კუთხით. თბილისსა და ოზურგეთში მიუზიკლის „ვერის უბნის მელოდიების“ განხორციელებისთვის გამოიყო 1.716.985 ლარი. მოცეკვავე ხოაკინ კორტესის კონცერტი ბათუმში დაჯდა 550.000 ლარი. შედარებით „მოკრძალებული“ თანხები გამოიყო ცნობილი მუსიკოსის გორან ბრეგოვიჩისა 79.223 ლარი და ანაკლიაში ჯგუფ „33ა“-ს 104.229 ლარი კონცერტების ორგანიზებისთვის. მთლიანობაში სამინისტრომ ივლისის თვეში გახარჯა 3.794.598 ლარი და 12.640 ევრო.




აგვისტოს თვეში კულტურის სამინისტროს დაფინანსება ასე გადანაწილდა: პროექტი „მეამაყება საქ-არტ-ველო“ – 698.399 ლარი, ჩიკკორეას მონაწილეობა თბილისის ჯაზფესტივალზე – 90.000 ლარი, მხატვრული ფილმის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სცენარის შექმნა – 17.000 ლარი, ლექსენის კონცერტი – 208.004 ლარი, ანაკლიის პატრიოტულ ბანაკში პოეზიის საღამოს ჩატარება – 2.250 ლარი, ეპოქალური მუსიკოსების პროექტის განხორციელება – 35.000 ლარი, პროექტის განხორციელება ცაგერის ისტორიული მუზეუმი, ლეჩხუმის საგანმანათლებლო ცენტრი – 13.000 ლარი, ლიზი რამიშვილის კონცერტის ჩატარება საზღვარგარეთ – 16.275 ევრო, ვარსკვლავის დამზადება – 4.300 ლარი, აბაშაში კულტურული ღონისძიების ჩატარება – 6.950 ლარი, ზუმბალენდის კონცერტის ჩატარება – 10.000 ლარი, პროექტის „ჩვენ თავად მოვალთ“ ხელშეწყობა – 10.000 ლარი, სვანსეტი ფესტივალი – 5.000 ლარი, უწმინდესის აღსაყდრებასთან დაკავშირებული ღონისძიება – 48.602 ლარი, მის საქართველო 2012 – 200.000 ლარი, ზუმბალენდის კონცერტის ჩატარება ყვარელში – 15.000 ლარი. მთლიანობაში სამინისტრომ გახარჯა 1.363.505 ლარი და 16.275 ევრო. აგვისტოს თვეში ყველაზე მსხვილი დაფინანსება 698.399 ლარი მიიღო პროექტმა „მეამაყება საქ-არტ-ველო“, რომელიც მოიცავდა საქართველოს რეგიონებში კონცერტების გამართვა ახალგაზრდების მონაწილეობით, ასევე 208.004 ლარი გამოიყო მომღერალ ლექსო ქავთარაძის, იგივე ლექს-სენის სამი მუსიკალური კლიპის გადაღების, ორი ახალი სიმღერის ჩაწერისა და 2012 წლის 26 აგვისტოს ბათუმში 2 საათიანი კონცერტის ჩატარებისათვის.

სექტემბრის თვეში კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები საკმაოდ მწირია და ის მოიცავს თბილისის საერთაშორისო ფესტივალს – 190.000 ლარი და უწმინდესის საერთაშორისო კონფერენციას – 230.565 ლარი. ამ თვეში სულ დაიხარჯა 420.565 ლარი.

ოქტომბრის თვეში კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტებია: პარიზში გამოფენა – 9.445 ევრო, სინეტეკის თეატრის გასტროლის ორგანიზება – 49.930 ლარი. ამ თვეში სულ გაიხარჯა 49.930 ლარი და 9.445 ევრო.

ამ ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროსთან ხელშეკრულებებს აფორმებდნენ სხვადასხვა კომპანიები, მათ შორის „არტ ფორუმი“, „ისთერნ პრომოუშენი“, „ბიზენს პროტოკოლ პლიუსი“, „გლობალ არტი“, „ენ ენდ კო კონსულტინგი“, საერთაშორისო ფონდი „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“, „რუმსი“, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ფიზიკური პირი დავით მასტერანოვი, ფიზიკური პირი გიორგი შენგელაია, ვახტანგ კიკაბიძის საქველმოქმედო ფონდი „ბუბა“, ილია სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდი „იავნანა“, „ჯეოფეშენი“, კავშირი „არტ გენი“, ფიზიკური პირი დავით სარჯველაძე, „ბრავო რექორდსი“, ინდმეწარმე ნიკოლოზ ჯალაღონია, „ახალი თეატრის განვითარების ფონდი“, არასამთავრობო ორგანიზაცია კინემატოგრაფი და ახალგაზრდობა, „არტ კონტრაქტ თბილისი“, დავით კაკაბაძის ფონდი, „კანდელი პლუსი“, გია გოგორიშვილი ემეს პროდაქშენი, „ფართი ჰაუსი“, „სტეკ-რეკორდს სტუდიო“, ფიზიკური პირი ქეთევან ყიფშიძე, „არტ ბათუმი“, ინდმეწარმე მარინე აფხაზიშვილი, საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირი, ფონდი ხელოვანები თანადგომისთვის, არტაქტივი, ფიზიკური პირი ლაშა დოხნაძე, თიბისი ტივი, „არტ ბრიჯი“, „სარეკლამო კომპანია საყვირი“, „არქიტექტორი გამომგონებლები“, „ფორმულა პროესკო პროდაქშენი“, კავშირი „თაგის არტსი“, საქართველოს კულტურის ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი, მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია, „დისფიქჩერსი“, „გლობალ სოსიეტი ბილდერ გრუპი“, რუსთაველის თეატრის განვითარების ფონდი, ასოციაცია „არტისტერიუმს“, კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე“, „აკადემიური ხელოვნების განვითარების ცენტრი“, დამოუკიდებელი კინო სერვისი, დავით-დეფი გოგიბედაშვილი, „ალტერვიჟენ დიზაინი“, მახარობლიშვილის სახლ-მუზეუმი, ფიზიკური პირი მიხეილ რამიშვილი, ინდმეწარმე მარინე აფხაზიშვილი, საქართველოს ხალხური ცხენოსნების ეროვნული ფედერაცია, „ანიკა“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, იმიჯ ცენტრი, თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი და „ეიჯენსი ემ აი ოუ პი“.

– მთლიანობაში სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებისთვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 10 თვის განმავლობაში სულ გამოყოფილი იქნა 12.265.272 ლარი, რაც პროგრამულ ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2012 წლის მანძილზე ყველაზე მეტად პროცენტულად დაფინანსდა კონცერტები, მიუზიკლები, ოპერა და თეატრი. ბოლო ადგილზეა გამოფენა მხოლოდ და მხოლოდ 1 პროცენტიანი დაფინანსებით. სამინისტროს მიერ დაფინანსებული ღონისძიებების პროგრამული განაწილება კი ასეთია: კონცერტები – 29 პროცენტი, მიუზიკლი, თეატრი, ოპერა – 23 პროცენტი, ფესტივალი – 17 პროცენტი, პროექტები – 14 პროცენტი, სხვადასხვა – 5 პროცენტი, კლიპების გადაღება – 4 პროცენტი, იუბილე, ვარსკვლავი – 4 პროცენტი, გასტროლი – 3 პროცენტი, გამოფენა – 1 პროცენტი. დასკვნის სახით გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის თანახმად, მის საქმიანობის სფეროსა და ამოცანებს მათ შორის მიეკუთვნება: თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, გამოფენების მოწყობის ხელშეწყობა, შემოქმედებითი კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სხვადასხვა ქვეყანაში გასამართავ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა; კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა; კანონით დადგენილი წესით კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების განაწილება. სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის თანახმად, მის კომპეტენციას აგრეთვე მიეკუთვნება კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ამასთან, როგორც წესი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სახელოვნებო განათლებისა და ხელოვნების განვითარების ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხაზით და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სუბსიდიების“ მუხლით. სამინისტროს ხსენებული ღონისძიებები აგრეთვე ფინანსდებიან მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან. ის, თუ რამდენად შესაბამისობაში მოდის დაფინანსებული კულტურული ღონისძიებები სამინისტროს დებულებით გათვალისწინებულ საქმიანობის სფეროებსა და ამოცანებთან, ჩვენმა მკითხველმა თავად განსაჯოს. თუმცა, საიმიჯო კლიპების დამზადებით საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კომპეტენციის სფეროდ. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მომავალში სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ გადახედოს საკუთარ პოლიტიკას საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან დაკავშირებით და ყველა შესაბამისი ღონისძიება განახორციელოს გამჭვირვალე პროცედურებისა და კონკურენციის პრინციპების დაცვაზე დაყრდნობით. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საზოგადოებაში არ არსებობდეს განცდა იმისა, რომ კულტურის სფეროს დაფინანსება შესაძლებელია დამყარებული იყოს პატრონაჟის, თანამდებობის პირთა პირადი თუ პოლიტიკური სიმპათიების საფუძველზე, – ნათქვამია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში.

# ევროპა ინგლისის გარეშე



## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.01 | სელტა-სოსიედადი | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 26.01 | ლევანტე-ვალიადოლიდი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 26.01 | სარაგოსა-ესპანიოლი | 2.1 | 3.4 | 3.4 |
| 26.01 | დეპორტივო-ვალენსია | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 27.01 | რეალი-ხეტაფე | 1.14 | 7.5 | 17.0 |
| 27.01 | რაიო-ბეტისი | 2.3 | 3.25 | 3.1 |
| 27.01 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.08 | 10.0 | 26.0 |
| 27.01 | ბილბაო-ატლეტიკო | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 27.01 | მალიორკა-მალაგა | 2.87 | 3.25 | 2.45 |
| 28.01 | სევილია-გრანადა | 1.44 | 4.33 | 7.0 |

**სელტა-სოსიედადი**

სელტა: ***ტრავმ***-ჰუგო მალო, ანდრეს ტუნეცი, სამუელ ლორკა

სოსიედადი: ***ტრავმ***-კადამურო

**ლევანტე-ვალიადოლიდი**

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-ვიქტორ პერესი, მანუშო, ხესუს რუედა

**სარაგოსა-ესპანიოლი**

სარაგოსა: ***ტრავმ***-რომარიკი, ივან ობრადოვიჩი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-კრისტიან სტუანი, ვიქტორ სანჩესი, ვაკასო მუბარაქი, კრისტიან ალვარესი

**დეპორტივო-ვალენსია**

დეპორტივო: ***ტრავმ***-კარლოს მარჩენა, აბელ აგილარი, ლაურე

ვალენსია: ***ტრავმ***-დავიდ ალბელდა, დანიელ პარეხო, სერხიო კანალესი, ჟერემი მეტიუ

**რეალი-ხეტაფე**

რეალი: ***ტრავმ***-პეპე; ***დისკვ***-სერხიო რამოსი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ხავი ტორესი, ლაფიტა, მანე, აბდელაზიზ ბარადა, მეჰდი ლაკენი, პედრო ლეონი

**რაიო-ბეტისი**

რაიო: ***ტრავმ***-ლეო, ნაჩო მარტინესი, მიკელ ლაბაკა

ბეტისი: ***ტრავმ***-პოზუელო, ხუან კარლოსი, ალექს მარტინესი

**ბარსელონა-ოსასუნა**

ბარსელონა: ***ტრავმ***-დავიდ ვილია

ოსასუნა: ***ტრავმ***-დავიდ ტიმორი, ანტონი ანანი, სისი

**ბილბაო-ატლეტიკო**

ბილბაო: ***ტრავმ***-არიტზ ადურიზი, ინიგო პერესი, რუიზ დე გალარეტა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ფრანსისკო ხუანფრანი, ფელიპე ლუისი

**მალიორკა-მალაგა**

მალიორკა: ***ტრავმ***-ხავიერ არიზმენდი, ანტონიო ლოპესი, ჟოაო ვიქტორი

მალაგა: ***ტრავმ***-ჟულიო ბაპტისტა

**სევილია-გრანადა**

სევილია: ***ტრავმ***-დიეგო პეროტი, კამპანა, ჟოფრე კონდოგბა, ემირ სპაჰიჩი, ბრაიან რაბელო, პიოტრ ტროხოვსკი

გრანადა: ***ტრავმ***-ბორხა გომესი, დანიელ ბენიტესი, დარვინ მაჩისი, იუსუფ ელ არაბი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 66:23 | 55 |
| 2.ატლეტიკო | 20 | 15 | 2 | 3 | 42:18 | 47 |
| 3.რეალი | 20 | 12 | 4 | 4 | 50:20 | 40 |
| 4.ბეტისი | 20 | 11 | 2 | 7 | 31:30 | 35 |
| 5.მალაგა | 20 | 9 | 5 | 6 | 30:17 | 32 |
| 6.რაიო | 20 | 10 | 1 | 9 | 27:36 | 31 |
| 7.ვალენსია | 20 | 9 | 3 | 8 | 27:32 | 30 |
| 8.ლევანტე | 20 | 9 | 3 | 8 | 24:29 | 30 |
| 9.სოსიედადი | 20 | 8 | 5 | 7 | 31:27 | 29 |
| 10.ვალიადოლიდი | 20 | 8 | 4 | 8 | 29:25 | 28 |
| 11.ხეტაფე | 20 | 7 | 5 | 8 | 27:29 | 26 |
| 12.სევილია | 20 | 6 | 5 | 9 | 24:29 | 23 |
| 13.სარაგოსა | 20 | 7 | 1 | 12 | 20:30 | 22 |
| 14.ბილბაო | 20 | 6 | 4 | 10 | 24:39 | 22 |
| 15.ესპანიოლი | 20 | 5 | 6 | 9 | 23:32 | 21 |
| 16.გრანადა | 20 | 5 | 5 | 10 | 18:29 | 20 |
| 17.სელტა | 20 | 5 | 4 | 11 | 20:25 | 19 |
| 18.ოსასუნა | 20 | 4 | 6 | 10 | 16:21 | 18 |
| 19.მალიორკა | 20 | 4 | 5 | 11 | 20:36 | 17 |
| 20.დეპორტივო | 20 | 3 | 7 | 10 | 24:42 | 16 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.01 | ლაციო-კიევო | 1.57 | 3.8 | 6.0 |
| 26.01 | იუვენტუსი-ჯენოა | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 27.01 | ბოლონია-რომა | 3.0 | 3.5 | 2.25 |
| 27.01 | კატანია-ფიორენტინა | 2.8 | 3.3 | 2.45 |
| 27.01 | პარმა-ნაპოლი | 2.8 | 3.3 | 2.45 |
| 27.01 | სამპდორია-პესკარა | 1.65 | 3.6 | 5.5 |
| 27.01 | ატალანტა-მილანი | 3.5 | 3.3 | 2.1 |
| 27.01 | კალიარი-პალერმო | 2.0 | 3.3 | 3.8 |
| 27.01 | უდინეზე-სიენა | 1.65 | 3.6 | 5.5 |
| 27.01 | ინტერი-ტორინო | 1.6 | 3.76 | 6.0 |

**ლაციო-კიევო**

ლაციო: ***ტრავმ***-ალვარო გონსალესი, მიროსლავ კლოზე, აბდულაი კონკო, ედერსონი

კიევო: ***ტრავმ***-ლუჩიანო, ლუკა რიგონი, სტეფანო სორენტინო, რობერტო გუანა, პერპარიმ ჰატემაი, მამადუ სამასა, ბაქარი დრამე, ნიკოლას ფრეი

**იუვენტუსი-ჯენოა**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ფაბიო კვალიარელა, ანდრეა პირლო, არტურო ვიდალი, კლაუდიო მარკიზიო, კვადვო ასამოა, ჯორჯო კიელინი, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე

ჯენოა: ***ტრავმ***-ხუან ვარგასი, ბოშკო იანკოვიჩი, დამიანო ფერონეტი

**ბოლონია-რომა**

ბოლონია: ***ტრავმ***-რობერტ აკვაფრესკა, საფირ ტაიდერი, ფილიპო ლომბარდი, ჰენრი ხიმენესი, ჩეზარე ნატალი

რომა: ***ტრავმ***-ფედერიკო ბალძარეტი, მირალემ პაინიჩი, მარტინ სკეტელენბურგი, სიმონე პეროტა, ბოგდან ლობონტი, ნიკოლას ლოპესი

**კატანია-ფიორენტინა**

კატანია: ***ტრავმ***-სერხიო ალმირონი, ფაბიო სკიაცა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მატიას ფერნანდესი, მატია კასანი, დავიდ პიზარო

**პარმა-ნაპოლი**

პარმა: ***ტრავმ***-დანიელე გალოპა

ნაპოლი: ***ტრავმ***-ხუან ზუნიგა

**სამპდორია-პესკარა**

სამპდორია: ***ტრავმ***-რენანი, ენცო მარესკა, მაქსი ლოპესი

პესკარა: ***ტრავმ***-კრისტიან ტერლიცი, ხუან კინტერო, უროს კოსიჩი

**ატალანტა-მილანი**

ატალანტა: ***ტრავმ***-ეზეკიელ შელოტო, ჯანპაოლო ბელინი, სტეფანო ლუჩინი, გვიდო მარილუნგო

მილანი: ***ტრავმ***-მასიმო ამბროზინი, სალი მუნტარი, მარიო იეპესი, ჯამელ მესბა, ნაიჯელ დე იონგი

**კალიარი-პალერმო**

კალიარი: ***ტრავმ***-ვლადა ავრამოვი, სებასტიან ერიკსონი, ლორენცო არაუდო

პალერმო: ***ტრავმ***-ფრანკო ბიენზა, ედგარ ბერეტო, ანდრეა მანტოვანი, აბელ ერნანდესი

**უდინეზე-სიენა**

უდინეზე: ***ტრავმ***-ანტონიო დი ნატალე, ჟელკო ბრკიჩი, მეჰდი ბეთანია

სიენა: ***ტრავმ***-არავინ

**ინტერი-ტორინო**

ინტერი: ***ტრავმ***-ანტონიო კასანო, დიეგო მილიტო, ვალტერ სამუელი, რიკარდო ალვარესი, ლუკა კასტელაცი, კოურინიუ, დეაინ სტანკოვიჩი

ტორინო: ***ტრავმ***-აბუ დიოპი, ანჯელო ოგბონა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 21 | 15 | 3 | 3 | 45:14 | 48 |
| 2.ნაპოლი | 21 | 13 | 4 | 4 | 41:19 | 43 |
| 3.ლაციო | 21 | 13 | 4 | 4 | 32:21 | 43 |
| 4.ინტერი | 21 | 12 | 3 | 6 | 33:23 | 39 |
| 5.ფიორენტინა | 21 | 10 | 6 | 5 | 38:25 | 36 |
| 6.მილანი | 21 | 10 | 4 | 7 | 38:28 | 34 |
| 7.რომა | 21 | 10 | 3 | 8 | 44:35 | 33 |
| 8.კატანია | 21 | 9 | 5 | 7 | 29:27 | 32 |
| 9.პარმა | 21 | 8 | 7 | 6 | 29:27 | 31 |
| 10.უდინეზე | 21 | 7 | 9 | 5 | 32:31 | 30 |
| 11.ტორინო | 21 | 6 | 9 | 6 | 25:24 | 26 |
| 12.კიევო | 21 | 7 | 4 | 10 | 22:34 | 25 |
| 13.ატალანტა | 21 | 7 | 4 | 10 | 19:31 | 23 |
| 14.ბოლონია | 21 | 6 | 3 | 12 | 26:28 | 21 |
| 15.სამპდორია | 21 | 6 | 4 | 11 | 22:29 | 21 |
| 16.კალიარი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:37 | 20 |
| 17.პესკარა | 21 | 6 | 2 | 13 | 17:39 | 20 |
| 18.ჯენოა | 21 | 4 | 5 | 12 | 21:34 | 17 |
| 19.პალერმო | 21 | 3 | 7 | 11 | 18:34 | 15 |
| 20.სიენა | 21 | 5 | 5 | 11 | 20:31 | 14 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.01 | აინტრახტი-ჰოფენჰაიმი | 1.95 | 3.5 | 3.75 |
| 26.01 | ფიურტი-მაინცი | 2.8 | 3.3 | 2.45 |
| 26.01 | გლადბახი-ფორტუნა | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 26.01 | აუგსბურგი-შალკე | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 26.01 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 26.01 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.87 | 3.3 | 2.4 |
| 27.01 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.3 | 3.4 | 3.0 |
| 27.01 | შტუტგარტი-ბაიერნი | 7.0 | 4.33 | 1.44 |

**აინტრახტი-ჰოფენჰაიმი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ბენჯამინ კოლერი, ანდერსონი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სებასტიან რუდი, შტეფან შროკი, ბორის ვუკჩევიჩი

**ფიურტი-მაინცი**

ფიურტი: ***ტრავმ***-ედგარ პრიბი, მიხაელ ჰეფელე, ჰაინრიხ შმიტგალი, სებასტიან ტირალა

მაინცი: ***ტრავმ***-ელკინ სოტო, ლორის კარიუსი, ნიკო ბუნგერტი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი

**გლადბახი-ფორტუნა**

გლადბახი: ***ტრავმ***-ალექსანდერ რინგი

ფორტუნა: ***ტრავმ***-ნანდო რაფაელი, რონი გარბუჩევსკი, ჩა დუ რი, ანდრეი ვორონინი, იენს ლანგენეკე

**აუგსბურგი-შალკე**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-არისტიდ ბანცე, მილან პეტრჟელა, ანდრეას ოტი, სებასტიან ლანგკამპი

შალკე: ***ტრავმ***-კრისტოფ მორიტცი, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი

**ჰანოვერი-ვოლფსბურგი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-სტივ ჩერუნდოლო, კრისტიან შულცი, დიდი კონანია, ლარს სტინდი, ფელიპე, ლეონ ანდრეასენი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ფერჰან ჰასანი, სრდან ლაკიჩი, იოჰანდრი ოროზკო

**ფრაიბურგი-ლევერკუზენი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ივან სანტინი, სედრიკ მაკაიდი, ანტონ პუტსილა, სებასტიენ ფრეი, მარკო ტერლიცი, მატიას გინტერი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ქარიმ ბელარაბი, მიხალ კადლეცი

**ჰამბურგი-ვერდერი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-პეტრ იირაჩეკი

ვერდერი: ***ტრავმ***-ფილიპ ბარგფრედი

**შტუტგარტი-ბაიერნი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-არტურ ბოკა, ტიმ ჰოოგლანდი, თუნაი თორუნი, ვილიამ კვისტი, მამადუ ბა, კაკაუ

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჰოლგერ ბადშტურბერი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 14 | 3 | 1 | 46:7 | 45 |
| 2.ლევერკუზენი | 18 | 11 | 3 | 4 | 36:23 | 36 |
| 3.დორტმუნდი | 18 | 9 | 6 | 3 | 40:20 | 33 |
| 4.აინტრახტი | 18 | 9 | 3 | 6 | 34:30 | 30 |
| 5.შალკე | 18 | 8 | 4 | 6 | 32:29 | 28 |
| 6.ფრაიბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 24:18 | 27 |
| 7.მაინცი | 18 | 8 | 3 | 7 | 24:21 | 27 |
| 8.გლადბახი | 18 | 6 | 8 | 4 | 25:26 | 26 |
| 9.ჰამბურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 19:22 | 25 |
| 10.შტუტგარტი | 18 | 7 | 4 | 7 | 21:30 | 25 |
| 11.ჰანოვერი | 18 | 7 | 2 | 9 | 36:36 | 23 |
| 12.ვერდერი | 18 | 6 | 4 | 8 | 28:34 | 22 |
| 13.ვოლფსბურგი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:27 | 22 |
| 14.ფორტუნა | 18 | 5 | 6 | 7 | 22:25 | 21 |
| 15.ნიურნბერგი | 18 | 5 | 6 | 7 | 18:23 | 21 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 18 | 3 | 4 | 11 | 23:41 | 13 |
| 17.აუგსბურგი | 18 | 2 | 6 | 10 | 15:31 | 12 |
| 18.ფიურტი | 18 | 1 | 6 | 11 | 11:30 | 9 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.01 | რენი-მარსელი | 2.55 | 3.1 | 2.87 |
| 26.01 | ევიანი-აიაჩო | 2.0 | 3.3 | 3.8 |
| 26.01 | ტრუა-ბრესტი | 2.05 | 3.25 | 3.7 |
| 26.01 | ნანსი-ლორიენი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 26.01 | მონპელიე-სოშო | 1.5 | 3.75 | 7.5 |
| 26.01 | რეიმსი-ტულუზა | 2.87 | 3.1 | 2.55 |
| 27.01 | სენტ ეტიენი-ბასტია | 1.5 | 3.75 | 7.5 |
| 27.01 | ნიცა-ბორდო | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 27.01 | პსჟ-ლილი | 1.53 | 3.75 | 7.0 |

**რენი-მარსელი**

რენი: ***ტრავმ***-ონეოკაჩი აპამი, ჯონათან პიტროიპა, ჯონ ბოიე, ვიქტორ მონტანო

მარსელი: ***ტრავმ***-ჩარლზ კაბორი

**ევიანი-აიაჩო**

ევიანი: ***ტრავმ***-საბერ ჰელიფა, მოჰამედ რაბუი, ჯაკარიდა კონე, ბრაის ჯია ჯეჯეი, ჯონათან მენსა, ალი მადი

აიაჩო: ***ტრავმ***-ფუსენი დიავარა, კარლ მეჯანი, სიგამარი დიავარა, მეჰდი მოსტეფა, რიკარდო ფატი, დავიდ ობერჰაუზერი

**ტრუა-ბრესტი**

ტრუა: ***ტრავმ***-მოჰამედ იატარა, სებასტიენ გრო

ბრესტი: ***ტრავმ***-ბენუა ლესომერი, ისმაილ ტრაორე, ოსმან კულიბალი, აჰმედ კანტარი, ჯონათან აიიტე, ქამელ ჩაფნი, პოლ ბაისე, ადამა ბა

**ნანსი-ლორიენი**

ნანსი: ***ტრავმ***-არავინ

ლორიენი: ***ტრავმ***-ალაიქის რომაო, ბენჯამინ კორნე, ალაინ ტრაორე, არნო ლე ლანი

**მონპელიე-სოშო**

მონპელიე: ***ტრავმ***-მარკო ესტრადა, იუნის ბელანდა, ბენჯამინ სტამბული, ჯამელ საიჰი, იორის მავრო, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ ფანა

სოშო: ***ტრავმ***-კალილუ ტრაორე, პიერიკ კროსი, ტიერი დუბაი

**რეიმსი-ტულუზა**

რეიმსი: ***ტრავმ***-ფლოიდ აიიტე, კოსი აგასა, გაეტან კურტე

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯონათან ძებინა, აიმენ აბდენური, პავლე ნინკოვი

**სენტ ეტიენი-ბასტია**

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***-რომაინ ჰამუმა, მაქს გრადელი, დანიელ ალეკსიჩი, ალეხანდრო ალონსო, ისმაელ დიომანდე

ბასტია: ***ტრავმ***-ჟერომ როტენი, სამბი იატაბარე, იანიკ კარუზაკი, ვაჰბი ჰაზრი

**ნიცა-ბორდო**

ნიცა: ***ტრავმ***-ლოიდ პალუნი, მაჰამანე ტრაორე, ფაბიენ დაო კასტელანა, დიაჩკო ფოფანა

ბორდო: ***ტრავმ***-მარკ პლანუსი, ნიკოლას მორის-ბელაი, ჯუსიე, აბდუ ტრაორე

**პსჟ-ლილი**

პსჟ: ***ტრავმ***-ტიაგო სილვა, ალექსი, მოჰამედ სისოკო

ლილი: ***ტრავმ***-რაიან მენდესი, სალომონ კალუ, ტულიო დე მელო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 21 | 12 | 6 | 3 | 37:12 | 42 |
| 2.ლიონი | 21 | 12 | 6 | 3 | 35:18 | 42 |
| 3.მარსელი | 21 | 13 | 2 | 6 | 28:25 | 41 |
| 4.ნიცა | 21 | 9 | 8 | 4 | 33:26 | 35 |
| 5.რენი | 21 | 11 | 2 | 8 | 31:26 | 35 |
| 6.ლორიანი | 21 | 9 | 7 | 5 | 35:33 | 34 |
| 7.ბორდო | 21 | 7 | 11 | 3 | 23:15 | 32 |
| 8.სენტ ეტიენი | 21 | 8 | 7 | 6 | 27:16 | 31 |
| 9.ტულუზა | 21 | 8 | 6 | 7 | 29:23 | 30 |
| 10.ლილი | 21 | 7 | 9 | 5 | 25:22 | 30 |
| 11.ვალანსიენი | 21 | 8 | 6 | 7 | 32:30 | 30 |
| 12.მონპელიე | 21 | 8 | 5 | 8 | 33:27 | 29 |
| 13.ბასტია | 21 | 7 | 4 | 10 | 28:44 | 25 |
| 14.ბრესტი | 21 | 7 | 3 | 11 | 22:29 | 24 |
| 15.სოშო | 21 | 6 | 4 | 11 | 21:30 | 22 |
| 16.აიაჩო | 21 | 5 | 8 | 8 | 22:30 | 21 |
| 17.ევიანი | 21 | 5 | 5 | 11 | 22:34 | 20 |
| 18.რეიმსი | 21 | 4 | 7 | 10 | 17:23 | 19 |
| 19.ტრუა | 21 | 2 | 7 | 12 | 23:42 | 13 |
| 20.ნანსი | 21 | 1 | 9 | 11 | 18:37 | 12 |

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

# ჯო ჰარტი: „ჯეიმს ბონდობას ვისურვებდი“

„მანჩესტერ სიტისა“ და ინგლისის ნაკრების მეკარე ჯო ჰარტი ერთ-ერთ ინგლისურ გამოცემასთან საინტერესო საკითხებზე საუბრობს.

***— ვინ არის თქვენი სპორტული გმირი?***

— დევიდ სიმენი და პიტერ შმეიხელი. მათ თამაშის ყურებით ვიზრდებოდი. სიმენი „არსენალში“ და ინგლისის ნაკრებში შეუდარებელი იყო. შმეიხელი კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ და მასთან ერთად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა.

***— რომ არა სპორტსმენი, ვინ იქნებოდი?***

— ყველაფრის გაკეთება მიჭირდა, რასაც ხელს მოვკიდებდი. ტალახში ამოვისვრებოდი ხოლმე. ყოველთვის ფეხბურთელობა მინდოდა, რაც საუკეთესოდ გამომდიოდა და გამომდის.

***— კარიერის საუკეთესო მომენტი.***

— გასული სეზონის ბოლო შეხვედრა და მას შემდგომ რამდენიმე წუთი. ზოგადად, მთლიანი სეზონი და ტიტულის მოგება. მხოლოდ ერთი თამაში არა, მთლიანი სეზონი, რომელიც გამარჯვებად ღირდა.

***— და ყველაზე უარესი?***

— ინგლისის ნაკრებთან ერთად პენალტების სერიაში წაგება ცუდი გამოცდილება იყო. მთლიანად ტურნირი კი — კარგი.

***— შენი სახლი რომ იწვოდეს და მხოლოდ ერთი რამის გადარჩენა შეგეძლოს, რა იქნებოდა ის?***

— ვნახავდი, თუ ვინმე ცოცხალი არსება იქნებოდა, მას გადავარჩენდი.

***— საყვარელი სიმღერა.***

— ასეთი არ მაქვს, ამ მხრივ გემოვნება მუდმივად მეცვლება. აიპოდი მუდმივად გადატვირთული მაქვს.

***— საყვარელი ტელეგადაცემა.***

— ამჟამად „ანარქიის შვილებს“ ვუყურებ და საკმაოდ ჩამითრია. შეიძლება, უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ არის დრამა ამერიკაში „ჯანდაბის ანგელოზები“. არ მინდა გამოვცადო, მაგრამ ეს არის ის ყველაფერი, რაც მამაკაცს ბედნიერს ხდის.

***— ბოლოს რა ფილმი ნახე?***

— ჯეიმს ბონდის ბოლო ნაწილი — „სკაიფოლი“. მომეწონა. 100 პროცენტით ვიტყვი, რომ ვისურვებდი ჯეიმს ბონდობას. თუ მიმიწვევენ, სიამოვნებით, სერიოზულად ვამბობ.

***— სპეციალურ ვახშამზე ვის მიიპატიჟებდი?***

— უნდა ვიყო დიპლომატი და ვთქვა, დედას, მამასა და დას. მაგრამ მცხობელის მოძებნა დამჭირდებოდა.

***— შეგიძლია ცხობა? საყვარელი კერძი?***

— მზარეულობა საშუალოდ გამომდის. შემიძლია გავაკეთო სტეიკი შავი წიწაკითა და ბოსტნეულით.

***— საყვარელი დასასვენებელი ადგილი გაქვს?***

— ბევრი ადგილი სულაც არ მაქვს ნანახი. მაგრამ, სადაც ვყოფილვარ, უკან არ დავბრუნებულვარ. ვისიამოვნე ლას-ვეგასსა და მეხიკოში. ვეგასში ყველაფერი შესანიშნავია, ყველაფერი მუდამ მოძრაობაშია, მეხიკო კი, პირიქით — მშვიდი.

***— გვითხარი შენი საიდუმლო.***

— საშინელი კოსტიუმი მეცვა კლუბის საშობაო საღამოს. ბევრი კოპლებით... ნარინჯისფერი იყო და დიდი ლურჯი კოპლები ჰქონდა. კარგად გამოვიყურებოდი...

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# უნარშეზღუდული ბავშვების მშობლები სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვენ

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

გასული წლის მიწურულს, წინასაახალწლოდ, სამების საკათედრო ტაძარში ცერებრალური დამბლითა და ეპილეფსიით დაავადებული ბავშვებისათვის საქველმოქმედო საღამო გაიმართა. აქციის ფარგლებში შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებისათვის საჩუქრები შეგროვდა, თუმცა ზოგიერთი ბავშვისათვის ეს ერთჯერადი დახმარება ძალიან მცირეა, რადგან მათ ძვირადღირებული მკურნალობა საზღვარგარეთ ესაჭიროებათ. ერთ-ერთი მათგანი 15 წლის თეკლაა, რომლის შესახებ თავად ბავშვის დედამ, ქალბატონმა ლიდა გეგეჭკორმა, ისაუბრა.

– ქალბატონო ლიდა, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა გაქვთ თქვენი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. მოგვიყევით თეკლას შესახებ.

– პირველ რიგში მადლობას გიხდით გულისხმიერებისათვის, რომ ,,ახალმა თაობამ“ უპრეცედენტო ყურადღება გამოიჩინა. ძნელია ასეთ ეპოქაში, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, ვინმეს ესაუბრო პრობლემებზე. ვიცი, რომ ყველას თავისი საზრუნავი აქვს...თეკლა ჩემი მესამე შვილია, რომელიც



აბსოლუტურად ჯანმრთელი დაიბადა და ხუთი თვის განმავლობაში სრულიად ნორმალურად ვითარდებოდა, მერე დაეწყო ეპილეფსიური შეტევები და ამის შემდეგ ოჯახი მოვდივართ დიდი ტკივილით და ტანჯვით. 29 იანვარს 15 წლის გახდება და თეკლასთვის საშველი არ ჩანს. ორი წლის წინ დადგინდა, რომ აუცილებელია ჩემი შვილის წაყვანა საზღვარგარეთ გამოკვლევისათვის და ქირურგიული ოპერაციაც საზღვარგარეთ უნდა გაუკეთდეს, რადგან ეპილეფსიის უმძიმესი ფორმა აქვს და ქირურგიული ჩარევის გარეშე სხვა გზა არ არის. უცხოეთში წასვლა და კვლევა-ოპერაცია ძალიან ძვირია, ამის შესაძლებლობა ჩემს ოჯახს არ აქვს. როგორი ასატანია ის, რომ მშობელმა იცი საშველი არსებობს და ამ საშველზე ხელი არ მიგიწვდება შვილის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის!

თეკლა ჩემთვის უდიდესი განძი და სიხარულია. მის გარეშე არ შემიძლია წარმოვიდგინო ჩემი თავი. უმისოდ ჩემს სიცოცხლეს აზრი არ ექნება. როცა აცრემლებულს დამინახავს ხოლმე, მეუბნება: ნუ ტირი, დედა, ყველაფერი კარგად იქნება, ღმერთი დაგვეხმარება, უფალი არ მიგვატოვებს. ამ სიტყვებით მაძლევს ძალას, რომ ვიბრძოლო მისთვის ბოლომდე!

– ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოში შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებისათვის ძალიან უმნიშვნელო სოციალური პაკეტია გამოყოფილი. რით განისაზღვრება სახელმწიფოს ზრუნვა თეკლასნაირ ბავშვებზე?

– სახელმწიფოს მხრიდან თეკლასა და თეკლასნაირ ბავშვებს ძალიან მწირი დახმარება აქვთ. 70 ლარიანი პენსია ვერ უზრუნველყოფს ავადმყოფ ბავშვებს. სამასიდან ხუთას ლარამდე მარტო ყოველთვიურად წამლებში, ჰიგიენურ საშუალებებსა და მასაჟებში იხარჯება. ჩემი შვილი დადის ,,პირველი ნაბიჯის“ დღის ცენტრში, სადაც სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვებს ნახავთ. მათ აქვთ განსაკუთრებული და ძვირი მკურნალობის კურსი დანიშნული, ასეთ დროს შეიძლება ვიფიქროთ იმაზეც კი, რომ 70 ლარი საკმარისია ჩვენი შვილებისათვის? პატარებს ძალიან უყვართ, როცა მათთან ვინმე მივა. ყურადღება მათ იმდენად ახარებთ, რომ გული სიკეთით ევსებათ და მშობლებიც სიხარულით ცას ვწვდებით. მართალია, მზრუნველობასა და ყურადღებას ჩვენს პატარებს არ აკლებს ,,პირველი ნაბიჯის“ პერსონალი, მშობლები, მაგრამ სახელმწიფო რომ მეტ ყურადღებას იჩენდეს, იქნებ ამდენი უნარშეზღუდული ბავშვიც არ იყოს (გამოჯანმრთელების პერსპექტივის მქონე არაერთია) და საერთოდ, უნარშეზღუდულებს ძალიან მგრძნობიარე გულები აქვთ, მათთვის ცოტა ყურადღებაც კი ძალიან ბევრს ნიშნავს.

– რამდენად გრძნობენ შეზღუდული უნარების მქონე ბავშვები თავიანთ პრობლემებს?

– ეს ბავშვები თვითონ ნაკლებად გრძნობენ გრძნობენ თავიანთ პრობლემებს გამომდინარე თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან. კეთილ მოპყრობას ადვილად გრძნობენ, ამიტომ მათთვის გვერდში დგომა და სიყვარულის გამოხატვა აუცილებელია.

– დეკემბერში სამებაში გაიმართა ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების დასახმარებელი აქცია. იყო რეალურად რაიმეს მომტანი ეს ერთჯერადი აქცია?

– სამების ახალგაზრდულ ცენტრში მოწყობილი ღონისძიება, რომელიც ჩემი შვილისა და მისი მსგავსებისათვის მოეწყო, უდიდესი სიხარულის მომტანი იყო ბავშვებისათვის. მხოლოდ ჩვენ ვიცით, თუ როგორ უხარიათ ჩვენს პატარებს ასეთი ღონისძიებები. ბავშვებმა იციან, რომ ასეთი აქციის ბოლოს აუცილებლად დაასაჩუქრებენ და უსაზღვროდ ბედნიერები არიან ამით. 23 დეკემბერს მოწყობილი ღონისძიების თითოეულ მონაწილეს დიდი მადლობა ვუთხრა, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო იმ დღის ორგანიზატორი ქალბატონი მაგდა ყურაშვილი, რომელიც მთელი სულითა და გულით უდგას გვერდით ჩვენს ბავშვებს და ვიცი, რომ პატარების ტკივილს თავის ტკივილად თვლის. ასეთი ადამიანი პირადად არასდროს შემხვედრია და ამ ტკბილ ქალბატონს განსაკუთრებულ მადლობას ვუცხადებ.

– თქვენს პრობლემებს ისიც დაემატა, რომ ამ ბოლო დროს მეუღლე შეამცირეს სამსახურიდან. როგორ უნდა ებრძოლოთ ასეთ პირობებში პრობლემებს, რომელიც სულ თან სდევს მშობელს?

– ეს კიდევ ცალკე დიდი სატკივარია ჩვენთვის. მეუღლე სამსახურიდან შეამცირეს და ფაქტია, რომ თითქმის შემოსავლის გარეშე დავრჩით. ნუთუ არ უნდა გაეთვალისწინებინათ ოჯახის მდგომარეობა?! არ ვიცი, როგორ ვუძლებ ამდენ ტკივილსა და დარდს, მაგრამ ვიცი, რომ წაქცევისა და სიკვდილის უფლება არ მაქვს. ჩემი არსებობა თეკლას სჭირდება და მისთვის უნდა ვიცოცხლო, ვიბრძოლო, მაგრამ როგორ უნდა მოვახერხო ჯერ კიდევ მისთვის რამე, არ ჩანს არანაირი გზა... იმედია, ღმერთი არ გამწირავს. თქვენთან ინტერვიუს ჩაწერის უფლება რახან მომეცა, ნება დამრთეთ, ,,ახალი თაობის“ ფურცლებიდან მივმართო ხელისუფლებას: დანიშნეთ მიღების დღეები, როცა ჩვენ შევძლებთ თქვენთან შეხვედრას და გაგაცნობთ უნარშეზღუდული ბავშვების პრობლემებს, იქნებ იფიქრონ, რომ რამენაირად გაუადვილონ ჩვენს შვილებს ცხოვრება.

# ისმაილლიში აქცია დაარბიეს



აზერბაიჯანის ქალაქ ისმაილლიში სიტუაცია გუშინ, საღამოს 21 საათზე, კიდევ ერთხელ დაიძაბა. სამართალდამცავებმა დემონსტრანტებს, რომლებიც რაიონის ხელმძღვანელის გადადგომას მოითხოვდნენ, ცეცხლი გაუხსნეს. აზერბაიჯანული სააგენტო „კონტაქტ.აზ-ის“ ინფორმაციით, პოლიცია რეზინის ტყვიებს იყენებდა.

აქციის დარბევის პარალელურად, პოლიცია აქციის მონაწილეებს აკავებდა. როგორც ცნობილია, დაკავებულია 35-40 აქციის მონაწილე. სააგენტოს ინფორმაციით, 22:30 საათზე აქცია უკვე აღარ მიმდინარეობდა.

ისმაილლიში აქციები 2 დღის წინ ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახლთან დაიწყო. გუშინ კი ამ დემონსტრაციის კადრები გავრცელდა.

აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქში დემონსტრანტებმა სასტუმრო და სამი მანქანა გადაწვეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, დემონსტრანტების ერთი ნაწილი პარალელურად ისმაილლის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის სახლთან შეიკრიბა და ქვები დაუშინა. ისინი რაიონის თავმჯდომარის ნიზამი ალეკპეროვის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვდნენ. თუმცა ამ უკანასკნელმა, ოჯახთან ერთად, შეძლო სახლის დატოვება.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია ინფორმაციამ, რომ სასტუმროში არალეგალური ბორდელი არსებობს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, გადამწვარი სასტუმრო და მანქანები სწორედ ალეკპეროვის ოჯახს ეკუთვნის.

ჩვენს საყვარელ
**ლალი ასლანიშვილს**
გილოცავთ დაბადების დღეს!
გისურვებთ ბედნიერებას,
ჯანმრთელობას, სიკეთესა და უამრავ
სიხარულს პატარა ლაზარესთან და
საყვარელ ადამიანებთან ერთად! უფალი
გფარავდეს!
სიყვარულით, „ახალი თაობა“

## განცხადება

შპს **„კავკასიამშენი“** აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის – ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე – ქ.კასპი, აღმაშენებლის 168 და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ.№6).

საჯარო განხილვა მოეწყობა: ქ.კასპი, აღმაშენებლის 168, 2013 წლის 21 მარტს, 14 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ შპს „კავკასიამშენის“ ადმინისტრაციას.

შპს „კავკასიამშენი“

## განცხადებები

- ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.
- ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ:558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 28 იანვარი

06.30 დ/ფ „ღრუბელი სამყაროს თავზე„ 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ადამიანი – პლანეტა„ 17.00 „სპიკერი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ„სისხლი და ვარდი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 00.00 „საფარი„ 01.00 მხ/ფ „მკა„ (ტიტ.) (დ.მორისონი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „ჩიკაგო„ 09.00 მხ/ფ „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ„ 10.35 მხ/ფ „სახლი ტბის პირას„ (კ.რივზი) 12.15 მხ/ფ „ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ„ (ჟ.მარე) 14.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი„ 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ I სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ„„იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 5 სერ. 14.45 სერ. „24 – 4„ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ. „გაქცევა შაუშენკიდან„ (ტ.რობინსი) 00.45 სერ. „ღვინის გზა„ 01.25 მხ/ფ. „ბაზა„ (ს.ელ ჯექსონი) 03.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ„„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 მხ/ფ „რომაული არდადეგები„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „თეთრი ქარავანი„ 13.30 კონცერტი-სესილია ბარტოლი 14.50, 18.20, 22.30, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „გუშინდელნი„ 17.00 მუხრან მაჭავარიანის საღამო 18.10 ტელეზღაპარი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „პიერი,მილიციის თანამშრომელი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.20 სალომე უჯარმელი 22.35 დოკ/ფ „ფთილა„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები„ გად.II 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## სამშაბათი 29 იანვარი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ ოსურ სომხურ„აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.10 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 17.00 „საფარი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სისხლი და ვარდი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „აქცენტები„ 23.30 მხ/ფ „სანამ მოკვდები„ (ჯ.ნიკოლსონი) 01.30 მხ/ფ „ოთხი შობა„ (ტიტ.) (რ.უიზერსპუნი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 2 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 6 სერ. 14.45 სერ. „24 – 4„ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ. „შემზარავი წინათგრძნობა„ (ს.ბულოკი) 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.00 მხ/ფ. „ერთგული მეგალე„ (რ.უაიზი) 03.10 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ„„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 „ნანუკას შოუ„ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 სპექტაკლი „გუშინდელნი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 სალომე უჯარმელი 10.55 სალვთისმეტყველო საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „პიერი,მილიციის თანამშრომელი„ 13.35 კონცერტი-მანანა დოიჯაშვილი 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „მამლუქი„ 17.35 აქტუალური თემა 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 შარავანდედი (გად. 5) 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „ჯაჭვთა თაყვანისცემის დღესასწაული„ 23.30 დოკ/ფ „ქვის დედაენა-ოშკი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## ოთხშაბათი 30 იანვარი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ „ოსურ „სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.40 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ„სისხლი და ვარდი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „სიბემოლი„ 23.40 მხ/ფ „შეუპოვარი„ (ჰ. ფორდი) 02.00 დ/ფ„ახალგაზრდული სული„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„16.00 დ/ფ„თანამედროვე იარაღი„19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 3 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.45 სერ. „24 – 4„ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.მხ/ფ. „სვანი„ (დ.ხარშილავა) 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.00 მხ/ფ. „ნიუ იორკის ბანდები„ (დ.დეი-ლუისი) 03.45 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ„„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „მამლუქი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად. 5 11.00 დოკ/ფ „ქვის დედაენა-ოშკი„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ანიტა რაჭველიშვილი 14.50, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „კვალი ნათელი„ 16.45 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.15 დეკორატიული ფლორა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „განცხადებული სასწაულები„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხარება და გოგია„ I ნაწ. 02.05 ირაო

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## ხუთშაბათი 31 იანვარი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ „ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სისხლი და ვარდი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „ბეწვი„ (ნ.კიდმანი) 02.20 დ/სერ „ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 4 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.45 სერ. „24 – 4„ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ. „იღბლიანი სლევინი„ (ბ.უილისი) 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.00 მხ/ფ. „მწყემსი კეთილი„ (ა.ჯოლი) 03.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ„„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 მხ/ფ „ხარება და გოგია„ I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „განცხადებული სასწაულები„ 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის„ 13.30 კონცერტი-ანს.„ლატალი„ 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.00 მხ/ფ „თვალი პატიოსანი„ 17.30 დოკ/ფ „ლახტის გაკვეთილი„ 18.10 ტელეზღაპარი 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მაგდანას ლურჯა„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20, 23.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხარება და გოგია„ II

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## პარასკევი 1 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან„ 17.00 დ/ფ 1) „ნანკის ღრუბლიანი ფარჩა„ 2) „მფრინავი ასპარასი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ„სისხლი და ვარდი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „შეხვედრა ვენერასთან„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 5 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 9 სერ. 14.45 სერ. „24 – 4„ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ. „იუმას მატარებელი„ (კ.ბეილი) 00.30 სერ. „ღვინის გზა„ 01.15 მხ/ფ. „ქალების ქვეყანაში„ (ო.დუკაკისი) 02.50 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ხარება და გოგია„ II 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „მაგდანას ლურჯა„ 13.25 კონცერტი-თბილისური ავტოგრაფი 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დოკ/ფ „სამთავროს დედათა მონასტერი„ 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ვინ შეკაზმავს ცხენს„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 22.45 დოკ/ფ „ღირსი ასურელი მამა ანტონ მარტყოფელი„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „13 ასურელი მამის ნამოღვაწარი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

8.05 მულტ/ფ რიო 10.00 მხ/ფ გოგონა და მელაკუდა 12.00 მხ/ფ კეთილი ჯადოქარი 14.00 მულტ/ფ ატლანტიდა 2 18.00 მულტ/ფ მძინარე მზეთუნახავი 20.00 მულტ/ფ დისნეი 21.25 მულტ/ფ ოსკარის ოაზისი 22.00 მულტ/ფ რატატუი

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 0.30 თოქ—შოუ - „კვირის არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.40 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## შაბათი 2 თებერვალი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 „მოამბე„ (აფხაზურ „ოსურ„ სომხურ„აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ. ან/ფ „კონკიას ამბავი„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.15 „ვაკაპედია„ 11.30 საბ. ტ/სერ „მე და ჩემი მონსტრები„ 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.05 „მოამბე„ 13.00 „ჩემი ოჯახი„ 14.30 მხ/ფ „მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად„ (პ. ვილაჯო) 16.30 „აღმოაჩინე საქართველო„ 17.00 ძიუ-დო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ფინალები. 19.00 „გურმანია„ 21.00 „ეტალონი„ 22.00 I არხი წარმოგიდგენთ — „ელექტრონავტები„ 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.30 მხ/ფ „ქუჩის დღეები„ 01.00 მხ/ფ „სიცრუის ერთობლიობა„ (ლ.დიკაპრიო)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „მეხისმტყორცნელი და ვინეტუ„ 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — ინდირა განდი 20.00 მხ/ფ „მუსიკა და ლირიკა„ (ჰ.გრანტი) 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკოი„ I სერ. 23.00 მხ/ფ „პოსეიდონი„ (ტიტ.) (კ. რასელი)

08.15 ან/ფ „მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" 27„ 09.15 მხ/ფ. „ოსტინ პაუერსი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ „ავატარი„ 42„ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „აიქარლი„ 14.20 მხ/ფ. „ყაჩაღები„ 16.00 სერ. „გმირები– 4„ 6 სერ. 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ. „სნაიპერი„ (ტ. ბერენჯერი) 01.45 მხ/ფ. „ძმები მეტოქეები„ (ა.უორნერი) (ტიტ.) 03.25 მუსიკა

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი„ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 შერეკილები 18.30 ?bwb-kbc ზონა 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 00.00 პოკერის ტურნირი 2 01.00 „Latin Angels„ 02.00, 04.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე,ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ვინ შეკაზმავს ცხენს„ 13.30 მოკ/ფ „თეთრი„ 13.50 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 ოპერა-„ბოჰემა„ 17.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 „კარაბადინი„ 22.25 დოკ/ფ „ოვალური ბურთი„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 ქართული კინოს ვარსკვლავები 01.15 მხ/ფ „რიგითი რაიანის გადასარჩენად„ I ნაწ.

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 9.30 კვირის არგუმენტები (გამ) 11.00 ყოველდღიური აბები (გამ) (პარასკ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 13.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ორშ) 14.05 ყოველდღიური აბები (გამ) (სამშ) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ოთხშ) 16.35 ყოველდღიური აბები (გამ) (ხუთშ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია „მონიტორის„ ჟურნ. გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 „პრეს-პრესი„ 23.00, 3.30 „ჩვენ„ - თამარ ჩიქოვანთან ერთად 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 1.00 ახალი ამბების კოლაჟი

## კვირა 3 თებერვალი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 საბ/ფ „საოცარი მისტერ ბარნანდერი„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 „ჩვენი ექსპრესი„ 11.30 საბ. ტ/სერ „მე და ჩემი მონსტრები„ 12.00, 14.00, 16.00, 19.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლი: „ჩემი პატარა ქალაქი„ 17.00 ძიუ-დო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ფინალები. 19.00 I არხი წარმოგიდგენთ 20.00 მხ/ფ „ის ჩემზე უარესია„ (ა.ჩელენტანო) 22.00 „სპიკერი„ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 I არხი წარმოგიდგენთ — კონცერტი 01.30 მხ/ფ „ოუშენის 11 მეგობარი„ (ტიტ.) (ბ.პიტი)

08.00 დ/ფ „ჯინსი პლანეტა ლურჯ ფერში„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ „განძთა კუნძული„ 11.30 მხ/ფ „სუპერმენი„ (მ. ბრანდო) 13.50 მხ/ფ „იღბლიანი„(ე.ბრაზა) 15.50 მხ/ფ „განზაი„ 17.20 მხ/ფ „ველური„ ველური ვესტი„ (უ.სმითი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — ჯოზეფინ ბეიკერი 20.00 მხ/ფ „გზა და კავშირი„ 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკოი„ 2 სერ. 23.00 მხ/ფ „სიცოცხლის მტკიცებულება„ (ტიტ.) (მ. რაიანი)

08.15 ან/ფ „მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" 29„ 09.15 მხ/ფ. „ახალი რობინზონები„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში" 343–ე სერ. (გ/ჩ) 13.00 მხიარული სტარტები 14.20 ფორტ ბოიარი 14.35 ქ.მხ/ფ. „ექსპრეს-ინფორმაცია„ 16.00 სერ. „გმირები – 4„ 7 სერ. 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: ჯანო ბაგრატიონი 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 მხ/ფ. „განძი„ ფული და ორი ლულა„ (ჯ.სტეტჰემი) 01.15 მხ/ფ. „ჩამსკრაზერი„ (გ.კლოუზი) (ტიტ.) 03.10 მუსიკა

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი„ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 ეკი ვოკი 15.30 შერეკილები 18.30 ჰიცილის ზონა 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00, 03.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.35 გამოყენებითი ხელოვნება 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.10 დოკ/ფ „ოვალური ბურთი„ 13.40 „ჩვენი ტრაპეზი„ 13.50 ქართული მულტფილმი 14.05 მოკ/ფ „მეფედელი„ 14.35 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 გზა, რომლითაც ვიარე 16.10 ქართული კინოს ვარსკვლავები 17.00 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები„ 17.25 სალვთისმეტყველო საუბრები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ „ივანიანა„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.40 „კვირიაკე„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 დოკ/ფ „მაქსიმე აღმსარებელი„ 23.40 დრო და ადამიანები 00.10 პატრიარქის ქადაგება 01.35 მხ/ფ „რიგითი რაიანის გადასარჩენად„ II ნაწ.

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 10.35, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.25, 4.25, 5.25, 6.25 უცხოეთის ამბები 10.00 ღია კარის დღე (გამ. წინა კვირის) 10.55 „პრეს-პრესი„ (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 „ჩვენ„ თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია „რე„ 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 23.00, 0.00, 1.00 ახალი ამბების კოლაჟი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# კატალონიამ სუვერენიტეტი გამოაცხადა

## თუმცა, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ სიმბოლური ნაბიჯია



კატალონიამ სუვერენიტეტი გამოაცხადა. ესპანეთის ერთიანობა უკვე სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, – იტყობინება ლენტა-რუ.

რუსი პოლიტოლოგები არასდროს ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, რათა სსრკ-ს დაშლით გამოწვეულ „დამღუპველ“ შედეგებზე არ ილაპარაკონ. ახლაც რუსი ექსპერტების კომენტარი ერთმნიშვნელოვანია: სსრკ-ს დაშლა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი გეო-პოლიტიკური კატასტროფაა. კატალონური სეპარატიზმიც ამის შედეგია.

– ევროპა მიხვდება, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის გავლენის სრული აღდგენის გარეშე მის პრობლემებს არაფერი ეშველება, – თვლის ს. მარკოვი, – დღევანდელი ეკონომიკური კრიზისი და სეპარატიზმი მნიშვნელოვნადაა განპირობებული ისეთი მოვლენებით, რიგორიცაა სსრკ-ს დაშლა, იუგოსლავიის დაშლა, კოსოვოს დამოუკიდებლობა და ა.შ.

ასეთი „მსჯელობა“ საღ აზრს მოკლებულია. კატალონიის პრობლემა კარგა ხანია დგას და ჯერ კიდევ სსრკ-ს არსებობის პერიოდში მან თავი არაერთხელ წამოჰყო. ასე მოხდა 1930 წელს, როდესაც კატალონიელებმა დამოუკიდებლობა მოითხოვეს. შემდეგ, ესპანეთში სამოქალაქო ომის პერიოდში (1936–39 წწ), კატალონიის დამოუკიდებლობის საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში.

– კატალონიას სახელმწიფოებრივი ტრადიციები გააჩნია, ამიტომ ლოზუნგი მისი დამოუკიდებლობის შესახებ სეპარატიზმი კი არა, კანონზომიერებაა, – თვლიდა ცნობილი ესპანელი მწერალი მანუელ ვასკეს მონტალბანი.

კატალონიის ტერიტორიაზე ადამიანთა დასახლებები უკვე უძველეს ხანაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, გაჩნდა. ესპანური ლიტერატურის კლასიკოსის ბენიტო პერეს გალდოსის ცნობით, კატალონიის პირველ მოსახლეებს იბერები შეადგენდნენ, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკიდან მოვიდნენ. შემდგომ პერიოდში კატალონია იმყოფებოდა ჯერ კართაგენის, შემდეგ რომის იმპერიის შემადგენლობაში. შემდგომ აქ ბატონობდნენ მავრები. სწორედ მათ წინააღმდეგ ბრძოლისას ჩამოყალიბდა კატალონური პატრიოტიზმი.

– არსებობს ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც კატალონა იმ რაინდის სახელია, რომელიც მავრებს ებრძოდა და რომლის ხელმძღვანელობითაც დამპყრობელთაგან დიდი ტერიტორიის გათავისუფლება მოხერხდა, – წერს პერეს გალდოსი, – მისი მომხრეებიც თავს კატალონიელებს უწოდებდნენ.

კატალონიის დამოუკიდებლობის საკითხი პირველად დღის წესრიგში სწორედ მაშინ დადგა. ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც ამას აქტიურად შეეწინააღმდეგა როგორც არაგონიის სამეფო, ასევე საფრანგეთიც. ბოლოს არაგონელებმა კატალონიას ფართო ავტონომია მიანიჭეს და თავის შემადგენლობაში შეიყვანეს. არაგონიის პრინც ფერდინანდისა და კასტილიის დედოფლის იზაბელას ქორწინების შედეგად ესპანეთის გაერთიანების (რეკომსისტა) პროცესი დასრულდა. ფერდინანდი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო. ის კარგად აცნობიერებდა, რომ კატალონიელებზე ძალადობა კარგს არაფერს მოუტანდა, ამიტომაც ავტონომია კიდევ უფრო გაუფართოვა. კატალონიაში მოქმედებდა ერთადერთი სახელწმიფო ენა, კატალონიური. მათ ჰქონდათ თავიანთი დროშა, ღერბი და ა.შ. ფერდინანდის სიკვდილის შემდეგ მადრიდმა კატალონიელებზე შეტევები განაახლა, რაც კატალონიის ავტონომიის სრული ლიკვიდაციით დასრულდა. ეროვნული მოძრაობა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გააქტიურდა. 1871 წელს კატალონიის დამოუკიდებლობის საკითხი დღის წესრიგში კვლავ დგება. ხანგრძლივი და მტკივნეული მოლაპარაკებების შედეგად კატალონია ერთიანი ესპანეთის შემადგენლობაში დარჩა. შემდგომშიაც კატალონიის დამოუკიდებლობის საკითხი არაერთხელ წამოიჭრა. ფრანკისტული დიქტატურის დამყარების შემდეგ კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეთა მასობრივი დევნა იწყება. სწორედ მაშინ ჩნდება ტერმინი კატალონიური სეპარატიზმი.

– ფრანკო არც კატალონიურ ენას ცნობდა და არც კატალონიის ავტონომიას, – წერს ვასკეს მონტალბანი.

პოსტ-ფრანკისტულ ხანაში კატალონიის პრობლემა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა. 1979 წელს კატალონიას ავტონომია კვლავ მიენიჭა. კატალონიური ენაც, რომელსაც ფრანკოს დროს კასტილიურის დიალექტს უწოდებდნენ, ცალკე ენად იქნა აღიარებული. ნელ-ნელა კატალონიის ავტონომიაც გაფართოვდა. ამან ადგილობრივი პატრიოტების მადა გაზარდა და მათ მეტი უფლებები მოითხოვეს. დღეს კატალონიელები ამტკიცებენ, ჩვენს ტერიტორიაზე შეკრებილი გადასახადები მადრიდში კი არ უნდა მიდიოდეს, არამედ მთლიანად აქ დარჩესო. ბუნებრივია, ესპანეთის დედაქალაქში ამან შეშფოთება გამოიწვია. ცხადი იყო, რომ საქმე კატალონიის ესპანეთის შემადგენლობიდან გამოყოფას ეხებოდა.

– კატალონიელებსაც „არა“ უთხრეს, – იტყობინება „ეხო მოსკვი“.

პასუხად ბარსელონაში მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა. „მოვითხოვთ სრულ დამოუკიდებლობას!“ – ტრანსპარანტებზე ეს დიდი ასოებით ეწერა. 2010 წლისათვის კატალონიის დამოუკიდებლობას მხარს მოსახლეობის 90 პროცენტი უჭერდა. შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა.

– ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც, როგორც ცნობილია, მთელი ესპანეთი და ევროპა მოიცვა, – წერს გაზეთი „დენი“.

დღეისათვის დამოუკიდებლობას მხარს მხოლოდ 44 პროცენტი უჭერს, 46 წინააღმდეგია, დანარჩენს თავისი პოზიცია ვერ გაურკვევია. მოსახლეობის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში კატალონია ევროკავშირს ჩამოშორდება, გაჩნდება ახალი საზღვრები, ვიზები, რაც პრობლემების მეტს არაფერს მოიტანს. ამ საფრთხემ დამოუკიდებლობის მომხრეთა რიცხვი მნიშვნელოვნად შეამცირა. კატალონიის პარლამენტის ბევრმა წევრმა ყოყმანი დაიწყო. მმართველმა ძალამაც კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო. სუვერენიტეტის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ კატალონია კვლავაც ესპანეთის შემადგენლობაში რჩება. დამოუკიდებლობის საკითხს კი (თუკი ის დღის წესრიგში რეალურად დადგა) გადაწყვეტს საერთო–სახალხო რეფერენდუმი, რომელიც შესაძლოა 2014 წელს ჩატარდეს.

– ამრიგად, დეკლარაცია ფაქტიურად სიმბოლურ ხასიათს ატარებს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აღნიშნული დეკლარაციის მიღებას კატალონიის პარლამენტის 86-მა წევრმა დაუჭირა მხარი, 41 წინააღმდეგი იყო. დეპუტატთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა.

– აღნიშნული დეკლარაციის მიღება კარგს არაფერს მოიტანს, – ამტკიცებენ ისინი, – საქმე ისაა, რომ ესპანეთის კანონმდებლობით ასეთი რეფერენდუმების ჩატარება აკრძალულია. დეკლარაციის მიღებაც სხვა არაფერია, თუ არა კონფრონტაციისაკენ გადადგმული ნაბიჯი. თუკი ასე გაგრძელდა, ესპანეთის „ბალკანიზაცია“ მოხდება.

აღნიშნულმა პერსპექტივამ კატალონიელები მართლაც შეაშფოთა. კატალონიის პრემიერმა მასმა გააკეთა განცხადება, რომ რეფერენდუმის ჩატარება ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

– ჩვენ გვსურს მეტი ფინანსური დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ, მადრიდში კი ამაზე უარს გვეუბნებიან. ხსენებული დეკლარაციის მიღება მეტი ფინანსური თავისუფლების მიღებაში დაგვეხმარება, – განაცხადა მასმა.

სადღეისოდ კატალონია ესპანეთის შემადგენლობაში რჩება, თუმცა „კატალონიური პრობლემა“ მოგვარებისაგან უდავოდ შორსაა.

**ნიკა თევზაძე**

# ამერიკელი ოჯახები რუსეთის მიერ გაშვილების აკრძალვას ევროპულ სასამართლოში ასაჩივრებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე




მისი თქმით, შვილად აყვანის მსურველებს ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა აშფოთებთ. „ეს საგანგაშოა და თავად რუსეთში ეფექტური სამართლებრივი დაცვის არარსებობის გამო იძულებულები ვიყავით, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსათვის მიგვემართა“, – აღნიშნა ადვოკატმა, რომლის თქმითაც, ცდილობენ, რომ ეს საქმე რაც შეიძლება მალე იქნეს განხილული.

მოსკალენკოს თქმით, ამერიკელები მზად არიან, სარჩელი უკან გაიტანონ, თუ შვილად აყვანის პროცესი დარეგულირდება: „ორი სხვა ოჯახის საქმე სასამართლოშია. ერთ-ერთი მათგანის გარჩევა დეკემბერში უნდა გამართულიყო, თუმცა იანვარში გადაიტანეს“.

ადვოკატის თქმით, კიდევ ერთი ოჯახი სასამართლო პროცესის მომზადების პროცესში იმყოფება. სამშაბათს, რუსეთის უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ 1 იანვრამდე ამერიკის მოქალაქეებზე რუსი ბავშვების გაშვილების გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შესრულდეს. აღნიშნულის შესახებ რუსეთის უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა ვასილია ნაჩაევამ განაცხადა.

რუსეთში საახალწლო დღესასწაულის დასრულებისათანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ იმ ამერიკელებს, რომელთაც უკვე ჰქონდათ სასამართლოს გადაწყვეტილება ობლების შვილებასთან დაკავშირებით, დოკუმენტებთან მიმართებით პრობლემები ექმნებოდათ.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელებისთვის რუსი ბავშვების მიშვილების აკრძალვის გადაწყვეტილება რუსეთმა ამერიკის სენატის მიერ მიღებული „მაგნიტსკის კანონის“ საპასუხოდ მიიღო.

შვეიცარიულ დავოსში მყოფმა პრემიერმა მედვედევმა კი ტელეკომპანია „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ციხეში ტრაგიკულად დაღუპული სერგეი მაგნიტსკი „რუსეთში არაფერს იძიებდა“ და „სიმართლისთვის მებრძოლი არ ყოფილა“.

„ის კორპორატიული იურისტი თუ ბუღალტერი იყო, იცავდა იმ ადამიანების ინტერესებს, რომლებმაც დაიქირავეს. სიმართლისთვის მებრძოლი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ბუნებრივია, რომ ცოდვაა, რადგან ციხეში გარდაიცვალა“, – მედვედევის განცხადება „ინტერფაქსმა“ გაავრცელა.

როგორც რუსეთის პრემიერი თვლის, პრაქტიკულად, ყველაფერი მაგნიტსკის ისტორიაში – ეს არის „ცალკეული მოქალაქეების პოლიტიზებული გამონაგონი, რომელთა ნაწილი, მათ შორის დავოსშიც ტრიალებს. ყოველივე იმისთვის კეთდება, რომ რუსეთის ტერიტორიაზე საკუთარი კომერციული ოპერაციები გაამართლონ“, – ამბობს მედვედევი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა გადელიას გახსენება



მიმო! 27 იანვარს ერთი წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან. უსაზღვროდ მტკივნეული იყო შენი დაკარგვა ჩვენთვის, ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც გიცნობდა და გაფასებდა. გალის რაიონში გამორჩეული ოჯახის შვილი, შესანიშნავი ჟურნალისტი, სათნო და კეთილშობილი პიროვნება – ასე გიცნობდა საზოგადოება, მათ შორის შენი გალელი და თბილისელი კოლეგებიც.

უსაზღვროდ გიყვარდა შენი ოჯახი, ძმისშვილები, რძლები, მათზე ამოგდიოდა მზე და მთვარე.

სიკვდილის წინ ყველას ლოცავდი, გულმხურვალედ შესთხოვდი ღმერთს შენი ერთადერთი ძმის გადარჩენას. ვაი, რომ ამაოდ. ... გვწამს, რომ შენ იქაც ზრუნავ მისთვის, ყურადღებასა და სითბოს არ აკლებ ჩვენს იგორს.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა. გვიყვარხარ და გვენატრები.

*ოჯახი, ახლობლები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ

***შვეულად:*** 1. ასანთის ქართული სახელწოდება; 2. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 3. ტყვიის შემცველი მინერალი; 4. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი, მოტოციკლეტის გამომგონებელი; 5. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 6. მამლების ჩხუბი; 11. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 13. საყოველთაოდ ცნობილი გაცვეთილი ჭეშმარიტება; 14. მრავალხმიანობა მუსიკაში; 15. მხატვარი, რომელიც ზღვის ხედებს ხატავს; 17. რაიმეს ზღვრული ნორმა; 18. უკრაინელი მოკრივე, პოლიტიკოსი, დეპუტატი; 19. იაპონური ხის ქოშები.

***თარაზულად:*** 7. პოპულარული ქართული ხალხური სიმღერა; 8. ლამაზად წერის ხელოვნება; 9. ისტორიული ციხე-სიმაგრე სამცხე-ჯავახეთში; 10. ქართველი მგოსანი; 12. ხის ორი ფირფიტისგან შემდგარი მუსიკალური ტკაცუნა, ესპანური და ლათინო-ამერიკული ცეკვების აკომპანირებისათვის; 14. გეომეტრიული ფიგურა; 16. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 18. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 20. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 21. რაიონული ცენტრი რაჭაში; 22. მოსამართლე ძველად საქართველოში; 23. ფულის ერთეული ურუგვაიში; 24. იაპონური რესტორანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პენსნე; 2. სლაიდი; 3. „ხანჯლური“; 4. დილერი; 6. ეჩხაბერი; 8. ლიმონი; 11. სოლიტერი; 12. ფოლორცი; 16. დიუმა; 17. პოტიე; 18. ფშავი.

**თარაზულად**: 1. პუნსონი; 5. პირეი; 7. სანაცია; 9. „სევილია“; 10. ქეცბაია; 13. ნეკრესი; 14. ჯოკერი; 15. კოკი; 19. ჰოკაიდო; 20. დომკრატი; 21. ყანდარელი; 22. ქილიკი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მაჰატმა; 2. სქემა; 3. სამანგიო; 4. „ლიკანი“; 5. სტატორი; 6. სიზმარი; 11. არალი; 13. ინტრიგა; 14. „ორიფლეიმი“; 15. სტრატეგია; 17. ომლეტი; 18. კიტელი; 19. მაქო.

**თარაზულად**: 7. დალაქი; 8. პალიასტომი; 9. „ჰამამი“; 10. კაშალოტი; 12. ტაქიკარდია; 14. ონიქსი; 16. ბრისტოლი; 18. კლინკერი; 20. მტილი; 21. „ეტა“; 22. ხერგიანი; 23. მაგო; 24. როზარიუმი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 იანვარი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6582

ევრო —2,1994

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870

რუსული რუბლი — 0,0548

**ამინდის პროგნოზი 26 იანვრისთვის**





# „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




## მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

# ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


## თორნიკე შენგელია „დ“ ლიგაში შეუდარებელია

ბოლო დროს თორნიკე შენგელია „ბრუკლინ ნეთსის“ განაცხადში ვერ ხვდებოდა. კლუბმა ისევ „დ“ ლიგაში გაანათხოვრა და „სპრინგფილდის“ შემადგენლობაში კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. „რედ კლასუსთან“ მატჩში თორნიკემ მოედანზე 45 წუთი და 38 წამი გაატარა (ყველაზე მეტი ორივე გუნდის მოთამაშეთაგან) და შთამბეჭდავი სტატისტიკაც ჰქონდა.

თოკომ 39 ქულა, 18 მოხსნა (ორივე გუნდის შემადგენლობაში მატჩის საუკეთესო შედეგი), 6 პასი და 4 ჩაჭრა მოინაგრა, შეხვედრა კი სპრინგფილდელებმა 123:115 მოიგეს. შენგელიას გუნდმა მატჩი 7 კალათბურთელით ჩაატარა, ქართველი ფორვარდი კი ყველაზე მეტად დაიტვირთა. თორნიკემ 7 მოხსნა მოწინააღმდეგის ფარზე განახორციელა და ერთი სამქულიანიც ზუსტად გაისროლა, 18 ორქულიანიდან კი 16 გამოიყენა.




## კროსვორდი ა

***შვეულად:*** 1. რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. უბანი თბილისში; 3. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 6. დარიშხანის საბადო სვანეთში; 8. ამერიკული ჯიპი; 11. გონიოს ციხის ძველბერძნული სახელწოდება; 13. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 14. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 15. ხურდა ფული სირია, იორდანიასა და ლიბანში; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

***თარაზულად:*** 1. შუა-საუკუნეებში რომის პაპის სასჯელი, რომელიმე ქალაქისათვის წირვა-ლოცვის დროებითი აკრძალვა; 4. წმინდა ოქრო; 7. რომის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 9. ნარკოტიკული ნივთიერება; 10. შვედური საავტომობილო კომპანია; 12. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 16. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 17. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 18. მოდუღებული ტყემლის მჟავე, სქელი წვენი; 20. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 21. ტბა თბილისში; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## ამერიკელი ოჯახები რუსეთის მიერ გაშვილების აკრძალვას ევროპულ სასამართლოში ასაჩივრებენ

რამდენიმე ამერიკულმა ოჯახმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რუსეთის მიერ ამერიკელებზე ობლების გაშვილების აკრძალვასთან დაკავშირებით საჩივრით მიმართა.

„ბი-ბი-სის“ რუსული ბიუროს ცნობით, სასამართლოს ოთხმა ოჯახმა გაუგზავნა საჩივარი, რომლებიც რუსი ბავშვების შვილად აყვანას გეგმავდნენ. მათი ადვოკატის კარინა მოსკალენკოს თქმით, ისინი ბავშვებთან ურთიერთობის აკრძალვას აპროტესტებენ, რომელთანაც კონტაქტი გარკვეული დროის განმავლობაში ჰქონდათ.

„ბავშვები გარკვეულწილად უკვე მიჩვეულები იყვნენ მათ მომავალ მშობლებს. განშორებას ყველა განიცდის. მათ აუხსნეს, რომ ჰყავდათ დედა და მამა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ფაქტობრივ ოჯახურ ურთიერთობაზე ვისაუბროთ“, — აღნიშნა მოსკალენკომ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

### 26 იანვარი – სიყვარულის დღეა

**ვერძი** — მშვენიერი დღე გელოდებათ, იაქტიურეთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — საღამოს მნიშვნელოვანი სიახლე გელით. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ავეჯს გამოცვლით. **მშვილდოსანი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **მშვილდოსანი** — ფულიც გაქვთ და სიხალისეც. **თხის რქა** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** — ზედმეტად ნუ იაქტიურებთ, ისედაც ყურადღების ცენტრში ხართ.

### 27 იანვარი – შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება, იაქტიურეთ. **კურო** — ფულის პრობლემა აღარ გექნებათ. **ტყუპები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა, საწადელს ადვილად მიაღწევთ. **ლომი** — უფროსობას თვალში მოხვდებით, თქვენთვის რაღაც კარგი მზადდება. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ცინიკურად გიყურებენ და მათთვის სიურპრიზს მოამზადებთ. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — ფიქრებში ხართ ჩაძირული. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მეგობრებთან კარგად გაერთეთ. **მერწყული** — წარმატებული იქნება თქვენი კარიერა, მაგრამ ოპონენტებიც აქტიურობენ. **თევზები** — არ გათამამდეთ, ყველას არ ენდოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ციხე დუბაის პლაჟზე კოცნისთვის

ერთწლიანი პატიმრობით დასრულდა დუბაიში ორი შეყვარებულის რომანტიკული საღამო. 25 წლის ინდოელი და 25 წლის ფილიპინელი — ადგილობრივი „მაკდონალდსის“ თანამშრომლები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე შეუფერებელი ქცევის ბრალდებით, ერთ-ერთ საქალაქო პლაჟზე პოლიციამ დააპატიმრა და 12-თვიანი ციხე მიუსაჯა. ვადის მოხდის შემდეგ ორივეს დეპორტაცია ელის. ინციდენტი გასული წლის 17 დეკემბერს მოხდა. მაშინვე დუბაის პოლიციას საჩივრით ვიღაც ქალმა მიმართა, — წერს „დეილი მეილი“.

მან განაცხადა, რომ შვილმა პლაჟზე დაინახა ორი ადამიანი, რომლებიც მაშველების ხის ანძაზე „იბრძოდნენ“. ის ასევე ამტკიცებდა, რომ თავად დაინახა, შეყვარებულები ერთმანეთს როგორ კოცნიდნენ და ეხუტებოდნენ „მთელი ერთი საათის განმავლობაში“. „მე შოკირებული ვიყავი, როდესაც ისინი მჯდომარე პოზაში დავინახე, თითქოსდა სექსით იყვნენ დაკავებულნი“, — განაცხადა თვითმხილველმა და იქვე დააზუსტა, რომ არც ერთი მათგანი გახდილ მდგომარეობაში არ ყოფილა.

თავის მხრივ, დაკავებულები საკუთარ დანაშაულს კატეგორიულად უარყოფენ. პოლიციაში წყვილმა აღიარა, რომ იმ დღეს სვამდნენ ალკოჰოლს, რომელიც ლიცენზიის გარეშე იყიდეს. დუბაიში ეს კანონდარღვევას წარმოადგენს. თუმცა კოცნაზე ბრალდებები მათ უარყვეს. მამაკაცის თქმით, მის თანამგზავრს ასთმის შეტევა მოუვიდა და მან, უბრალოდ, ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა. მაგრამ დუბაის სასამართლო ასეთმა ვერსიამ არ დააკმაყოფილა.

გ.მ.

